140
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერი

5
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტები მერაბ ბოკუჩავა და მაშუკა ნარმანია სხლავენ ხეხილს.

ჩვენი ჟურნალის ამ გვერდზე მოთავსებული ფოტოების ავტორია ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე **ჯონი აკობია**. იგი, კარგ სწავლასთან ერთად, მუყაითად ეუფლება ფოტოხელოვნებას. ჯ. აკობიამ თავისი ნამუშევრები რედაქციას გამოუგზავნა „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ ნორჩ შემოქმედთა კონკურსისათვის.

ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები ყვავილების ზეიმზე.



აი რა მომცა ოქტომბერმა



ანტონ
კელენჯერიძე

# ქართული სოციალისტური კულტურის აყვავება

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის გამარჯვების 50 წლისთავს წელს ვიდღესასწაულებთ, ძირეულად შესცვალა მეფის რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა ეროვნების სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული ვითარება. იგი შეეხო ხალხთა ყოფიერებისა და ცნობიერების ყოველ სფეროს.

იმ დიდ სოციალურ გარდაქმნათა შორის, რაც ოქტომბერს თან მოჰყვა, დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის ისტორიულ კულტურული გარდაქმნანი, რაც, საერთოდ, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში შეიმჩნევა. თავისთავად კულტურული რევოლუციაა იგი.

კულტურული რევოლუცია სოციალისტური რევოლუციის აუცილებელი, თანამიმდევარი, შემადგენელი ნაწილია.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ კულტურული რევოლუციის გარეშე შეუძლებელია განამტკიცო და შემდგომ განავითარო პოლიტიკაში მიღწეული გამარჯვება. უამისოდ შეუძლებელია ახალი, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ამიტომაც საბჭოთა საზოგადოება ყველაზე განათლებულ საზოგადოებად ითვლება დღეს მთელს მსოფლიოში.

სოციალისტურ კულტურას განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიური წყობა, წარმოების საშუალებანი.

საქართველო, საუკუნეების მანძილზე გარეშე და შინაური მტრებისაგან რბეული და განაწამები, ხოლო შემდგომ მეფის რუსეთის კოლონიად ქცეული, სრულ ეკონომიურ დაცემულობამდე იყო მისული, მაგრამ სულის სიმტკიცე, გულის მხნეობა, მისწრაფება თავისუფლებისადმი არასოდეს არ დაუკარგავს ჩვენ ხალხს, ყოველთვის ძლიერი იყო მასში ლტოლვა მაღალი სულიერი კულტურისადმი.

ცნობილია, რომ თავისი კულტურის მიხედვით ქართველი ერი ერთ-ერთ უძველეს ერად ითვლება. ქართული კულტურის ძეგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 ათასწლეულში იღებს თავის სათავეს. ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა მე-5 საუკუნიდან იწყება. მე-12 საუკუნე შუა საუკუნეების შავბნელი ხანა, ქართული კულტურის უმაღლითო აყვავების ხანად ითვლება.

ავიღოთ თუნდაც ქართული ენა.

დიდი ენათმეცნიერის — ნიკო მარის მოწმობით, ქართული ენა ისეთი ენაა, რომელზედაც გამოითქმება ყველაფერი, რის გამოთქმაც შეიძლება დედამიწის ყოველ ენაზე; რომ არ მოიპოვება ისეთი აზრი, რომლის სრულყოფილად გამოთქმაც არ შეეძლოს ქართულ ენას, არ შეეძლოს გამოთქვას იგი მხატვრულ ფორმებში და, ბოლოს, როგორც დიდი ლინგვისტი დაასკვნის, ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ენას.

ყოველთვის დიდი იყო ქართველი კაცის მისწრაფება განათლებისადმი. რაგინდ ღარიბი და ხელმოკლე არ უნდა ყოფილიყო ქართველი ადამიანი, იგი ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ რამენაირად შვილისათვის განათლება მიეცა. ჩვენში განათლებას ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ და ინტელიგენციის სიუხვის მხრივ ქართველობა ყოველთვის გამოირჩეოდა მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიაში, რასაც თვით დიდი ლენინი შენიშნავდა.

ამას, რასაკვირველია ხელს უწყობდა ერთობა დიდ რუსეთთან და ჩვენი ერის მოწინავე წარმომადგენლების თანაზიარობა დიდ რუსულ, და მისი მეშვეობით, დასავლეთ ევროპის კულტურასთან.

მეფის კოლონიზატორული პოლიტიკა აფერხებდა და ხელს უშლიდა საქართველოში, ისევე როგორც სხვა ერებში, ეროვნული კულტურის განვითარებას. არ იყო ქართული სკოლები, სწავლა რუსულ ენაზე მიდიოდა, დაწესებულებებიდანაც განდევნილი იყო ქართული ენა; მაგრამ ამის მიუხედავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მეხაირალტრეთა, ერის ინტერესებისათვის მებრძოლ პატრიოტთა თავდადებით ქართველმა ხალხმა თავი დააღწია გადაგვარებას და შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ლამაზი ენა და თვითმყოფადი კულტურა.

1921 წლის 25 თებერვლიდან იწყებს თავისი ახალი, სისხლჭარბი ცხოვრების წელთაღრიცხვას თავისუფალი, საბჭოთა სოციალისტური საქართველო;



ეროვნული ბიბლიოთეკა



აქედან იწყება მისი ყოველმხრივი აღორძინებისა და განვითარების, ღრმა რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალისტური მშენებლობის ხანა.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი ლენინის შეუნელებელი ყურადღების შედეგად, რევოლუციამდელმა ჩამორჩენილმა, აგრარულმა საქართველომ საბჭოთა კავშირის დიდ ძმურ ოჯახში უჩვეულო პროგრესს მიაღწია. მაღალგანვითარებული მრეწველობით, მსხვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობით და მოწინავე მეცნიერებითა და კულტურით, იგი აყვავებულ რესპუბლიკად იქცა.

საქართველოს არა ჰქონდა მეტალურგია; ახლა კი აწარმოებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, ფეროშენადნობებს; არ ჰქონდა დაზგათმშენებლობა; ახლა კი ამზადებს ლითონსაჭრელ დაზგებს; არ ჰქონდა საავტომობილო მრეწველობა; ახლა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მარკით გამოშვებული მანქანები მთელ საბჭოთა კავშირის შარაგზებზე დაჰქრიან; არ ჰქონდა მანქანათმშენებლობა, ამჟამად ესეც აქვს —ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქციას უცხოეთშიც იცნობენ. ახლა საკუთარ ელექტრომავლებსაც აშენებს ინდუსტრიული საქართველო, ამზადებს მინერალურ სასუქებს, ცემენტს, ქსოვილებს, შაქარს და, საერთოდ ფართო მოხმარების მრავალნაირ საქონელს.

მექანიზებული სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებად იქცა ჩაი, ციტრუსები, ვენახი, ხეხილი, შაქრის ჭარხალი...

ყველაფერი ეს ქმნის ერის, სახელმწიფოს მატერიალურ დოვლათს, რომლის საფუძველზედაც უხვად იფურჩქნება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

საქართველოში წარმატებით განხორციელდა კულტურული რევოლუცია, დღეს იგი აბსოლუტურად წიგნიერი ქვეყანაა, უწიგნურ კაცს აქ ვეღარ შეხვდებით. გაფართოვდა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ქსელი, აღიზარდნენ ეროვნული კადრები, შეიქმნა მოწინავე სახალხო ინტელიგენცია.

რევოლუციამდე ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიდიოდა. ახლა ჩვენში 18 უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, სადაც 77 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მრავალ ტექნიკუმსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კი 38 ათასამდე მოსწავლე იღებს განათლებას.

ყოველ ათას მოსახლეზე — ოცდათვრამეტს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. ყოველ ათას მცხოვრებზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ მან გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მათ შორის თვით ამერიკას, საფრანგეთსა და ინგლისს.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს მეცნიერებათა აკადემია და 188 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობს 14,200 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 647 მეცნიერებათა დოქტორია და 4 ათასზე მეტი — მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველო ამაყობს ისეთი მეცნიერებით, როგორნიც იყვნენ აწ განსვენებული ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, დიმიტრი უზნაძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, კორნელი კეკელიძე და სხვ; აგრეთვე ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ალექსანდრე ჯანელიძის, ევგენი ხარაძისა და სხვათა მრავალთა სახელებით, რომლებიც სასახელოდ თავკაცობენ ქართულ მეცნიერებას.

ეროვნული მეცნიერების დამკვიდრების შემდეგ საქართველოში შეიქმნა მეცნიერებათა მთელი სკო-



# ჰორიზ

## ორი ცისფერი ყვავილი

ისინი ღია ბარათზე მიუხატავთ, ყელგადაჭდობილნი, გადაჯვარედინებულნი. ძალიან ჰგვანან ჩვენებურ კესანეს — ცისფერები, ჰაეროვნები.

**რაზმეულის საბჭოს თა[redacted]**
**ნაილი მანჯავიძის ხელმძ[redacted]**
**პიონერული აქტივი ადგენს [redacted]**
**გორ უმახპინძლონ ლატვ[redacted]**

ლები, როგორიცაა ფიზიკოს-მათემატიკოსთა, რომელიც დაკავშირებულია ანდრია რაზმაძისა და ნიკო მუსხელიშვილის სახელებთან; ფსიქოლოგებისა — დიმიტრი უზნაძესთან, ფიზიოლოგთა — ივანე ბერიტაშვილთან, ლიტერატურის მკვლევართა — კორნელი კეკელიძესთან, ენათმეცნიერთა — აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავასთან, ხელოვნებათმცოდნეთა — გიორგი ჩუბინაშვილთან, ქირურგთა — გრიგოლ მუხაძესთან, კარდიოლოგთა — მიხეილ წინამძღვრიშვილთან, გეოლოგთა — ალექსანდრე ჯანელიძესთან და ა. შ.

ეს სკოლები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

დღეს ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას 60 ნამდვილი წევრი და 31 წევრ-კორესპონდენტი ჰყავს; აკადემიის დაარსებისას კი — 1941 წელს, 16 ნამდვილი წევრი და ამდენივე წევრ-კორესპონდენტი იყო.

რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

თუ 1913 წელს საქართველოში 1765 სკოლა, 157 ათასი მოსწავლე და 6000 მასწავლებელი ითვლებოდა, ამჟამად გვაქვს 4673 სკოლა, სადაც 69 ათასამდე მასწავლებელი ასწავლის 938 ათას მოსწავლეს. როგორც ვხედავთ, ზრდა კოლოსალურია.

ჯანმრთელობის დაცვაც ერის კულტურის სფეროს განეკუთვნება და ამ დარგშიაც მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები.

საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში 45 მცირე მოცულობის საავადმყოფო იყო. ქალაქად 10 ათას კაცზე, ხოლო სოფლად 63 ათასზე თითო ექიმი მოდიოდა.

სამედიცინო კადრების სიუხვის მხრივ საბჭოთა საქართველო პირველ ადგილზე გამოდის მსოფლიოში. რესპუბლიკაში 600-ზე მეტი საავადმყოფო, 1400 ამბულატორია-პოლიკლინიკა და 150 სამშობიარო სახლია. მედიცინის სხვადასხვა სფეროში მეცნიერულ კვლევას ეწევა 22 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ორი უმაღლესი სასწავლებელი.

თურქეთზე, ირანსა და სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენი რესპუბლიკა წინ უსწრებს ამერიკას, საფრანგეთს, შვეიცარიას როგორც ექიმების რაოდენობის, ისე მათი კვალიფიკაციის მხრივ.

დღეს ქართული საბჭოთა ხელოვნება ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. უჩვეულოდ განვითარდა დრამატული, ვოკალური, ქორეოგრაფიული, ფერწერული, მონუმენტური ხელოვნებანი, არქიტექტურა და კინო.

საქართველო მოფენილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელით.

არასოდეს არ გამოდიოდა საქართველოში იმდენი გაზეთი, წიგნი და ჟურნალი, როგორც ჩვენს დროს.

უჩვეულო განვითარება ჰპოვა პრესამ, რადიომაუწყებლობამ და ტელევიზიამ.

დიდად გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანას ქართველმა საბჭოთა მწერლებმა. ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ საერთო აღიარება ჰპოვა და საპატიო ადგილი დაიკავა მთელი საბჭოთა ლიტერატურის დიდ, სახელოვან ოჯახში. ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი სიტყვაკაზმული მწერლობით და ნიჭიერი მწერლებით.

საბჭოთა წყობილებამ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებამ ჩვენი რესპუბლიკა აქცია მოწინავე მეცნიერების, მაღალი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მძლავრი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ქვეყნად. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, საბჭოთა საქართველო აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კომუნისტური იდეების საბოლოო გამარჯვებისადმი თავდადებულ ბრძოლაში.







# ღია ბარათი

ეს ღია ბარათი ათი წელიწადი ნანულის უჯრაში ინახებოდა სოფიელი სიკა მილანოვასეულ სამახსოვროდ, იმ წლების სამახსოვროდ, რომელიც წითელყელსახვევიანთა ორგანიზაციაში გაეტარებინა. მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინ, როცა ნანული ქუმელაშვილი თავის ყოფილ სკოლას უფროს პიონერხელმძღვანელად დაუბრუნდა, სიკას ბარათმა პიონერთა ოთახის ინტერნაციონალური მეგობრობის კუთხეში საპატიო ადგილი დაიჭირა. ბულგარელი პიონერები ხომ გორის მეოთხე საშუალო სკოლის ბავშვების ყველაზე ადრინდელი მეგობრები არიან. სიკას ბარათი ამ ათ წელიწადში ყოველი მხრით გაჩაღებული მიმოწერის ერთ-ერთ პირველ ფურცლად, სხვა ეროვნების თანატოლებთან დაამხანაგების სკოლისეული მატიანეს დასაწყისად ითვლება.

ეს ორი ყელგადაჭდობილი ყვავილი მომდევნო წერილებში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მას მიუხატავენ ხოლმე თითქმის ყოველ ბარათს. იცვლება ყვავილების ფერი, სიდიდე თუ ფურცელთა რაოდენობა, შინაარსი კი უცვლელი რჩება. სიყვარულით ერთმანეთს გადახვეული ყვავილები ხან წინ უძღვიან პიონერულ სალამს, ხან დამშვიდობებას აბოლოებენ.

## აბრეშუმის გზები

ინტერნაციონალური მეგობრობის კუთხეში საბჭოთა კავშირის რუკა ჰკიდია. თეთრ ტილოზე ფერადი აბრეშუმის ძაფით ჩვენი ქვეყნის კონტურებია შემოხაზული; რუკაზე ის ქალაქები მოუნიშნავთ, რომლებთანაც მეგობრული მიმოწერა აქვთ. ისარივით სწორი, აბრეშუმის გზები მიდიან ტულაში, ნოვომოსკოვსკში, ჩერკასკში. გომელში, რიგაში, ბარ-



„ქართული ეზო“ — პანევეჟისელებისადმი მიძღვნილი საჩუქარი.

მერვეკლასელთა ამ ჯგუფის მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერამ პანევეჟისელთა ფესტივალზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაულში, კაუნასში, სამარყანდში, ვილნიუსში, მაგადანში, ულიანოვსკში, გორკში, ბაქოში, ვინიცაში, აქტიუბინსკში, ლენინგრადში, შადრინსკში და...

## პანევეჟისში

ამ პატარა ქალაქამდე განსხვავებული წითელი ფერის აბრეშუმია გაჭიმული. ძაფის გასწვრივ წარწერაა: „ვიყავით 1967 წელს, საგაზაფხულო არდადეგებზე“.

ინტერნაციონალური კლუბის ხელმძღვანელი გია ხოდელი ცნობისმოყვარეთა ყოველ შეკითხვას ამომწურავად უპასუხებს:

— პანევეჟისი 80-მდე კილომეტრზეა რიგიდან. მეგობრობა გიას კლასმა წამოიწყო, კლასის ხელმძღვანელის ლილი ლეკიშვილის რჩევით. პანევეჟისელთა პირველი წერილი 1964 წლის 16 დეკემბრით არის დათარიღებული. იქაური მეექვსე საშუალო სკოლის მე-6² კლასი საპასუხო წერილს უგზავნიდა გორის მეოთხე სკოლის მე-6² კლასს და ახალ წელს ულოცავდა. პირველ გასაუბრებას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. წერილები ორივე მხრიდან მხოლოდ რაზმების სახელით იწერებოდა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამბებს შეეხებოდა. მთავარი ადგილი ამ ქრონიკებში, ცხადია, რაზმების ლენინური დათვალიერებისათვის სამზადისს ეთმობოდა.

მაგრამ მეგობრობა ახალ, უფრო მაღალ კვარცხლბეკზე ასვლას ისწრაფვოდა. ამ სასწავლო წლის დასაწყისში მეოთხესკოლელებმა რაზმეულის სამუშაო გეგმაში „მშვიდობის პიონერული მარშის“ ვალდებულებათა რიგში (ცხადია, მეგობრებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ) ასეთი პუნქტი შეიტანეს: გავეცნობით პანევეჟისის მე-6 სკოლის ცხოვრებას უშუალოდ ადგილზე ჩასვლით.

იყო ვარაუდები, რომ პანევეჟისიდანაც ეწვეოდნენ, ალბათ, საცხრამეტმაისოდ, ლენინური დათვალიერების საფინიშო ზეიმზე. ამიტომ გადაწყდა, თვითონ სტუმრებოდნენ ლატვიას მარტში.

გაჩაღდა ორმხრივი სამზადისი. პანევეჟისელებმა დიდი სასკოლო ფორუმის მოწყობა ითავეს. დაბეჭდილმა მოსაწვევებმა, რომელთა შიგა გაშლილი გვერდები წითლად მოეხატა რიცხვს 50-ს, გორელებს ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე ამცნო ფესტივალის დაწვრილებითი გეგმა. მეოთხესკოლელთა სამზადისმა ამის შემდეგ კიდევ. უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო. ემზადებოდნენ სპორტული შეხვედრებისათვის, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ჩვენებისათვის; სამხატვრო გამოფენაზე წინასწარ გაიგზავნა მოსწავლეთა ნამუშევრები.

მართალია, ამ დროისათვის პიონერული მე-6² კლასი უკვე კომკავშირულ მე-8² კლასად ქცეულიყო, მაგრამ რაზმეულის ნებით, პანევეჟისში მაინც ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ. ყოფილ პიონერებს დამსახურებული ჰქონდათ ეს პატივი.

და, რამდენადაც, მეგობრობის წამომწყები რაზმი კომკავშირულ ასაკში შესულიყო, ხოლო თავად მეგობრობა კი მაინც პიონერული ორგანიზაციის დამსახურებად ითვლებოდა, სამზადისში ფართოდ ჩაებნენ პიონერული კლასები.

თავის მხრივ, კომკავშირული ორგანიზაციაც დახმარების ხელს უწვდიდა უმცროს მეგობრებს. ყველას, დიდსა თუ პატარას, პანევეჟისი ეკერა პირზე.

პანევეჟისზე ლაპარაკობდნენ ქალაქის მეექვსე სკოლაშიც, რომელთაც, მეოთხესკოლელების მსგავსად, მათთან ხანგრძლივი მეგობრული მიმოწერა აკავშირებდათ; ამიტომაც მიწვევა მოსვლოდათ და მათაც გასამგზავრებლად თავიანთი დელეგაცია შეედგინათ.

პანევეჟისელებთან მეგობრობა გორის ყველა სკოლაში სამაგალითოდ გახდომოდათ და, როცა მეოთხე და მეექვსე სკოლელების გამგზავრების საათმა დაჰკრა, ყველა მხრიდან მოვიდნენ მათს გასაცილებლად.

მეოთხე სკოლის მოსწავლეთა დელეგაციამ მრავალი თვითნაკეთი სუვენირი ჩაიტანა პანევეჟისში: ქართული ეროვნული ტანსაცმელი, ქართული ჰურ-მარნიანი ეზოს მაკეტი, კერამიკული ნამუშევრები, ქალაქის ხედები და, რაც მთავარია, რაზმეულების ლენინურ დათვალიერებასთან დაკავშირებული საქმეების ნუსხა. ალბომი ილუსტრირებული იყო ლამაზი ფოტოებით და დაწვრილებით იტყობინებოდა, რა იყო გაკეთებული დათვალიერების თითოეული პუნქტის მიხედვით, ან რა ჰქონდათ მომავლისათვის განზრახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეხუთე კლასელი ავთანდილ შოთნიაშვილი ჭადრაკის დიდი მოყვარულია და მას ხშირად ნახავთ ჭადრაკის დაფასთან ჩაფიქრებულს.

მათი ჩასვლა დღესასწაულად იქცა. სიზმარივით სწრაფად გაირბინა უსასრულო სიხარულით აღსავსე ერთმა კვირამ. ელენე ლაბაძემ, ელენე აბულაძემ, ციცო ცარციძემ, ლუბა გამდლიშვილმა, ლეილა გოშაძემ ფრენბურთში ასახელეს სკოლა; გია ხოდელმა, როლანდ მუზაშვილმა, ზაალ მაკასარაშვილმა, ვახტანგ სამნიაშვილმა კალათბურთში გამოიჩინეს თავი. გუნდმა მასპინძლები იმითაც გააკვირვა, რომ ლატვიური ხალხური სიმღერა „მოდიოდა მოხუცი“ ლატვიურად შეასრულა და საკმაოდ რიგიანადაც. განსაკუთრებით ნასიამოვნები დარჩნენ გოგონების კვარტეტით; მასპინძლების დიდი სიმპათია დაიმსახურა „დაუმარცხებელმა მოჭადრაკემ“, გორელი მოსწავლეების ჩემპიონმა ბადრი კილასონიამ.

## ესტაფეტა გადაეცა მეხუთე პირველ კლასს

ამჯერად პიონერული ორგანიზაციის დაარსების წლევანდელ დღესასწაულზე, გორელები იმასპინძლებენ. მერვეკლასელებთან ერთად პიონერების მოზრდილ ჯგუფსაც ელიან. ნაილი მანჯავიძემ — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ — პანევეჟისელებს მეხუთე პირველი კლასის მიერ შედგენილი ალბომი და მეგობრობის წერილი ჩაუტანა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მეგობრობის ესტაფეტა ამ დღიდან მეხუთე პირველი კლასის ხელში გადადიოდა, რომელიც მერვე მეორე კლასის ღირსეული შემცვლელი ხდებოდა.

უმცროს მასპინძლებს დიდი მონდომებით დაემზადებინათ ნაირ-ნაირი საჩუქრები, რომელთა შორის საპატიო ადგილი დაეკავებინა მათს პატარა ანგარიშს, თუ რა აკეთეს რაზმეულების ლენინური დათვალიერების უკანასკნელ წელს. ეს ანგარიში ცხრამეტი მაისისადმი მიძღვნილი თავისებური სადღესასწაულო პატაკიც გახლდათ.

ამიერიდან მეგობრობა ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა, ბავშვების წინ კიდევ უფრო ვრცელი ჰორიზონტი იშლებოდა — გულითადობის, ძმობის, სიყვარულის მზარდი არეების მომცველი.

**ე. სახვაძე.**

ფოტო რ. ფერაძისა.

# გაზაფხული

ცხრათვალა მზემ მთებს და ველებს
იმდაგვარი შუქი სტყორცნა,—
ცას აწედა ნეტარებით
შავმა ხნულმა, მწვანე ბორცვმა.
ისე უცებ აყვავილდა
ატმისხე თუ ალუბალი,—
ისმის სიოს და მინდვრების
უნაზესი საუბარი.
კვალიც არსად აღარ დარჩა
ზამთრისა და მწუხარების;
და ჩანჩქერი მოსკდა მთიდან
იმდაგვარი მქუხარებით;
ცა მერცხლებით ავსებულა,
ჭიკჭიკებენ ისე ტკბილად...
თბილი ორთქლი ასდის ნახნავს
და სერებზეც ისე თბილა,—
თითქოს ახლა უამისოდ,
როცა მთასაც მწვანე მოსავს,—
ეს მზე ვერ დაგვაჯერებდა
გაზაფხულის დღეთა მოსვლას.

**ა. აბულაშვილი.**






ქეთევან ჭილაშვილი

პიესა სამ მოქმედებად და ცხრა სურათად

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.

## მოქმედნი პირნი:

თინა
სანდრო
მარინე
გივი
დარეჯანი — პიონერ-მოსწავლეები
მამუკა
რუსუდანი
გელა
პარასკევა — ხანშიშესული ქალი.

სონა — მწველავი.
ქიტესა — მწყემსი.
გულო — პიონერხელმძღვანელი.
კოლმეურნეები.
არჩილი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
პავლე.
ელენე — მამუკას მშობლები.

### მოქმედება პირველი.

#### სურათი პირველი

საკლასო ოთახი. მერხზე აქა-იქ სხედან მოსწავლეები. დარეჯანი ბოლოში ზის და ქსოვს.

**სანდრო** — რა იქნა თინათინ დედოფალი? დარჩით, დარჩითო და, თვითონ გაიპარა?

**გივი** — ჟურნალიდან საკონტროლო წერის ნიშნებს იწერს. შიმშილით კუჭი მეწვის, როდემდე უნდა ვიცადო.

**მარინე** — წელან იმოდენა პურის ყუას ილმურძლებოდი და კიდევ გშია? (შემოდის გელა. ჩანთა ზურგზე ჰკიდია)

**რუსუდანი** — (რვეულში წერას თავს ანებებს, ნაწერზე საშრობს აფენს) ააა, გელას ვახლავართ. მობრძანდით, დაბრძანდით... (ისევ განაგრძობს წერას).

**გივი** — ჩვენ წასვლას ვაპირებთ და ეს ახლა მობრძანდა.

**გელა** — ვერსადაც ვერ წახვალ, — თინა მოდის; მეც ეზოდან ამომაბრუნა.

**რუსუდანი** — „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“.

**სანდრო** — ეგრე კი არა, თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ გელას კი არაო.

**გელა** — ენა დაიმოკლე, თორემ...

**სანდრო** — თორემ რა? ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!

**დარეჯანი** — „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა“.

**გელა** — შენ ეი, ბებია დარეჯან, თუ ქსოვ, ქსოვე, თორემ... ხომ არ გინდა ეგ თავი გაგიბუო.

**გივი** — მაგის თმას კიდევ გაბუება უნდა? თივის ზვინივით აქვს აბულულებული (დარეჯანი საქსოვს ინახავს და გაკაპასებული მიდის გივისაკენ. ამ დროს შემოდის თინა, ხელში ქაღალდი უჭირავს).

**თინა** — ალმაშფოთებელი სურათია: კიდევ ორიანი!

**გივი** — (მერხზე თავს ჩაჰლუნავს) ვაიმე, კიდევ ორიანი მიმიღია!

**ხმები** — დანარჩენი ოთხები და ხუთებია, ხომ?

**თინა** — ოთხებსა და ხუთებზე უკაცრავად. კიკოსავით მხოლოდ ერთი ოთხიანი უწერია მარინეს.

**გელა** — დროა, ამხანაგებო. ვისწრაფოთ ხუთოსნობისაკენ.

**თინა** — (ირონიით) ხუთოსნობისაკენ! შენი ორიანით! (ხმამაღლა დაიძახებს) პიონერებო, სწორდით! (ყველანი ჩამწკრივდებიან და გასწორდებიან) რგოლის შეკრებას გახსნილად ვაცხადებ. დასხედით. (მოსწავლეები სხდე-

ბიან, გელა სულ ბოლო მერხზე ჯდება) გელა, წინ გადმოჯექი.

**გელა** — აქაც კარგად გავიგონებ!

**თინა** — გადმოჯექი!

**გივი** — ნუ, გელა, ტებე პროსიატ!

**გელა** — (წინ გადმოჯდება. გივის) ერთი გარეთ გავიდეთ, გამოჩნდება რა ბიჭიცა ხარ.

**სანდრო** — ერთი შეხედეთ, გივის ფერფური წაუვიდა.

**თინა** — ხუმრობა არ იცით, ყველაფერი უნდა გაატრიზავოთ.

**სანდრო** — ტრზზზ... ტრზზზ! (ყველანი იცინიან)

**თინა** — კმარა! ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ მამუკა ეს ერთი კვირა სკოლაში რომ არ მოდის, მიაკითხეთ რომელიმემ? (ყველანი ჩაჩუმდებიან).

**დარეჯანი** — ორიანების ერთი კვირის მარაგი დაიგროვა და რაღაზე უნდა მოვიდეს? (იცინიან).

**თინა** — სასაცილო არაფერია, დარეჯან. შენ შენი ხუთიანები თავში ნუ გაქვს ავარდნილი.

**სანდრო** — გოგო, თავი კედელს მიარტყი და ახლა ფეხებში ჩამოგიცვივდება.

**რუსუდანი** — (სანდროს ხელს გაჰკრავს) რა გიჟივით იქნევ მაგ ხელებს, შემაშლევინე (გაბრაზებული შლის ნაწერს).

**მარინე** — გაგიტკბა მზამზარეულზე საშინაო დავალების გადაწერა?

**რუსუდანი** — ჭვინტავ, კი არ ვიწერ, პასუხს ვამოწმებ.

**სანდრო** — მარინე, მომილოცავს ახალი სახელი „ჭვინტა". მუსიკალურად ჟღერს.

**მარინე** — თქვენ თვითონ ხართ ჭვინტებიცა და სკვინჩებიც. გეყოფათ ხუმრობა. ამ დილით, სკოლაში რომ მოვდიოდი, მამუკა თავიანთ ჭიშკართან იდგა. მივესალმე და პირი ამარიდა.

**სანდრო** — მერე, თავში ვერ ჩაუბასტუნე?

**რუსუდანი** — კარგი, სანდრო, მართლა და მართლა, სინდისიც კარგი საქონელია. ვერ ამჩნევთ, ამ ბოლო დროს მამუკა რა დაღონებულია?

**თინა** — ყველანიც ვამჩნევთ, მაგრამ თავი არ დავიმდაბლეთ და არ ვკითხეთ, რა აწუხებს.

**მარინე** — არ გვეპატიება, წავიდეთ, ვინახულოთ.

**დარეჯანი** — ცოტა გავამხიარულოთ, ცოდოა.

**რუსუდანი** — ახლა ცირკის კლოუნიც გავხდები.

**თინა** — რა შუაშია ცირკის კლოუნი?.. მეგობარი თუ ცუდ გუნებაზეა, არ უნდა გავამხიარულოთ? კარგ გუნებაზე რომ იქნება, უკეთესად ისწავლის.

**გივი** — (მერხზე შედგება) გაუმარჯოს მხიარულებას! (ყველანი ხელებს მაღლა სწევენ: გაუმარჯოს!)

**სანდრო** — სალტე შემოაკარით თავზე, სალტე! ეს გოგო ცარიელი ჭკუის კოლოფია.

**დარეჯანი** — (საქსოვს გადადებს) თქვენ იცინით, და ძალიანაც კარგი იქნება.

**თინა** — მეც ჭკუაში მიჯდება ეს აზრი.

**რუსუდანი** — მართლა, კარგი იქნება.

**გელა** — რატომაც არ მოგეწონებათ! თქვენ ოღონდაც იმხიარულოთ, და...

**თინა** — იცით, ჩვენს რგოლს რა დავარქვათ? „სასწრაფო დახმარების — გამხიარულების ეკიპაჟი „კისკისა".

**გივი** — მაშინ მარტო გოგოები იყავით მაგ ეკიპაჟში. ბიჭის კისკისი ვის გაუგია! (სანდრო წვრილ ხმაზე გადაიკისკისებს. იცინიან, მერე ყველა სათითაოდ თავისებურად კისკისებს. გელა ბოხი ხმით გადაიხარხარებს).

**გივი** — აბა, ეს კისკისია? ეს არის ხარხარი. იქნებ ეკიპაჟს „ხარხარა" დავარქვათ?

**რუსუდანი** — რა უხეში გემოვნება გაქვს! „კისკისა" უფრო ლაღია, მსუბუქი. ეს ხომ სიმბოლიური სახელწოდებაც იქნება: ლამაზ, მხიარულ გუნება-განწყობილებას გამოხატავს.

**ხმები** — მართალია, მართალი, — „კისკისა" სჯობია.

**გელა** — თავქარიანები ხართ ყველანი. ჰაუ! შეუბერავთ და სულ სამხიარულოდ გექნებათ საქმე, ჰა? ის გირჩევნიათ, ჭკუას დაატანოთ ძალა. სიცილ-ხარხარით ქვეყანა არავის აუშენებია.

**მარინე** — ღიმილი ალამაზებს შრომას.

**დარეჯანი** — იმ დღეს, გახსოვთ, ჩვენი ნაკვეთი რომ გადავბარეთ, სიცილ-ხარხარში ვერც კი გავიგეთ, ბოლოში როგორ გავედით.

**სანდრო** — მაგრამ, თუ რამე აწუხებს ადამიანს, როგორ იმხიარულებს?

**თინა** — გულო ხელმძღვანელს ვკითხოთ, გვირჩევს როგორ მოვიქცეთ.

**გივი** — ვატყობ, დღეს შიმშილით ამომძვრება სული, მე[illegible]დით და იკისკისეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დარეჯანი** — გულო ხელმძღვანელი პიონერთა ოთახში იქნება, მაინც იქითა გვაქვს გზა.

**მარინე** — (ფანჯარაში გაიხედავს) აგერ, თვითონ მოდის... (შემოდის გულო. პიონერები ფეხზე წამოუდგებიან)

**გულო** — რას კამათობთ, თქვენი ხმა დერეფნის ბოლოს ისმის. შინ აღარ აპირებთ წასვლას?

**თინა** — გულო ხელმძღვანელო, ერთი რამ უნდა გაგიზიაროთ...

**გულო** — (მერხზე ჩამოჯდება) კეთილი, გისმენთ...

**თინა** — ჩვენ გვინდა, ჩვენი რგოლი სასწრაფო დახმარების — გამხიარულების რგოლი იყოს!

**სანდრო** — ანუ ეკიპაჟი „კისკისა".

**მარინე** — კარგ გუნებაზე ხომ უფრო კარგად ვისწავლით.

**რუსუდანი** — უფრო ხალისით ვიშრომებთ...

**გულო** — კეთილი ჩანაფიქრია.

**გივი** — გელა კი კრიჭაში გვიდგას, ჯერ საქმე უნდა ავწყოთ სამხიარულოდაო!

**თინა** — გულო ხელმძღვანელო, ეს სურვილი იმიტომ დაგვებადა, რომ მამუკა გავამხიარულოთ...

**მარინე** — ერთი კვირაა, სკოლაში არ დადის, რაღაც აწუხებს.

**დარეჯანი** — ორიანებიც დაიგროვა.

**სანდრო** — სათოფეზეც აღარ გვეკარება...

**გულო** — მერე რას ფიქრობთ, როგორ უნდა გაამხიარულოთ?

**მარინე** — ვუამბობთ სასაცილო ამბებს, ვუმღერებთ, ვიცეკვებთ...

**გელა** — გულო ხელმძღვანელო, აი აქ ვეთიშები ჩემს ამხანაგებს, გივი და სანდროც მგონი დამეთანხმებიან: მე თუ ცუდ გუნებაზე ვარ, სხვამ რამდენიც უნდა იმღეროს და იცეკვოს... მთავარია, მე მემღერებოდეს, მე მეცეკვებოდეს.

**გივი** — სულ ასე არ არის, გელა! იმ დღეს ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი, ჩემი დარგული ნამყენი ძამაანთ თხამ გადამიკორტნა, ისე ვიყავი გულმოსული რომ მოსაკლავად არ დავინდობდი. უცებ რადიოში „ბაში-აჩუკის სიმღერა" გაისმა: „რა მაღლიანად ანათებს"... სულ გადამავიწყდა ყველაფერი. მიყვარს ეს სიმღერა, მეც ავღიღინდი და ძამაანთ თხა სიკვდილს გადარჩა. (ყველანი იცინიან)

**გულო** — გივი მართალია. სასიამოვნო მუსიკა, სიმღერა კეთილ გავლენას ახდენს ადამიანზე, ავიწყებს დარდს, უქარვებს უსიამოვნო ფიქრებს. მაგრამ მამუკას გასამხიარულებლად ჯერ მისი მოწყენილობის მიზეზი უნდა გაიგოთ, დაეხმაროთ ამ მიზეზის დაძლევაში და მერე...

**სანდრო** — მერე მოვილხინოთ? (ყველანი იცინიან)

**გულო** — თქვენ არ იცით მამუკას მოწყენილობის მიზეზი?

**ყველანი** — (ცნობისმოყვარეობით შესცქერიან) არა.

**გულო** — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მამუკას მამა სამუშაოდან მოხსნა.

**გივი** — ძია პავლე?

**გელა** — რატომ?

**სანდრო** — ძია პავლე გამოცდილი ტრაქტორისტაა.

**გულო** — სწორედ ამიტომ არ აპატია უპასუხისმგებლობა. ამ გახურებულ ხვნის დროს ტრაქტორი მინდორში მიატოვა და თავისი საკარმიდამო მიწა დაბარა.

**მარინე** — ეგ როგორ დაემართა ძია პავლეს!

**დარეჯანი** — ჰოდა, აბა, ამ საქმეს კისკისი უშველის?

**სანდრო** — ჩაგვივარდა კოვზი ნაცარში.

**გულო** — რატომ? ფარხმალს ნუ დაყრით. რაკი თქვენი რგოლი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟია, კიდეც უნდა მიაღწიოთ ამას. იფიქრეთ, იზრუნეთ მეგობარზე.

**თინა** — ეკიპაჟო, სწორდი! იყავ მზად — იფიქრო და იზრუნო შენს მეგობარზე!

**ყველანი** — მზად ვართ!

**გულო** — აბა, თქვენ იცით. (გადის). (ყველანი ჩაფიქრებულები დგანან. დარეჯანი ფანჯარაში იყურება. უცებ სიჩუმეში გაისმის მისი ხმა)

**დარეჯანი** — კისკას, კისკას, კისკასი, — თვისება ვარ ძვირფასი.
გოგნი, გოგნი, გოგონი,
შენ ხარ ჩემი მომგონი;
კისკას კისკას, კისკასი,
და-ძმანიც მყავს ძვირფასი:
სიცილა და როხროხა,
— (ანიშნებს გივისა და გელაზე)
გოგნი, გოგნი, გოგონი.
(ყველა ტაშს უკრავს)

**სანდრო** — ბიჭოს, ტყუილად კი არ ვეძახდი პოეტს! ნახეთ, სად გამოგვადგა.

**ხმები** — ყოჩაღ, დარეჯან, ყოჩაღ! რა კარგი ლექსია. (იმეორებენ: კისკას, კისკას, კისკასი...)

**თინა** — მოდი, ეს ლექსი ძია ლევანს გავუგზავნოთ. ვთხოვოთ ხალისიანი მუსიკა დაგვიწეროს.

**რუსუდანი** — ბედზე, ხვალ მამა მიდის ქალაქში... გავატანოთ.

**თინა** — რუსუდან, ძია ლევანს ჩვენი სახელით ბარათიც მისწერე, — რაც შეიძლება ლამაზი მუსიკა დაგვიწეროს. თქვენ კი, გივი და სანდრო, ეკიპაჟ „კისკისასთვის" ადგილსამყოფელი უნდა გამონახოთ.

**სანდრო და გივი** — (მხედრულ სალამს აძლევენ) არის, გამოვნახოთ ეკიპაჟ „კისკისას" ადგილსამყოფელი.

**თინა** — ეკიპაჟო „კისკისა", სწორდი! (ყველანი ჩამწკრივდებიან) ეკიპაჟი „კისკისა" გადის ორბიტაზე! აბა, ჰერი, მამუკასაკენ! ვკითხოთ, გავიგოთ რა აწუხებს.)

**(ფარდა)**



სურათი მეორე

**მოჩანს სახლის ნაწილი, კალო-საბძელი. პარასკევა კარ-მიდამოს გვის. ზურგიდან ეპარებიან გივი და სანდრო. სანდრო თვალებზე ააფარებს ხელს.**

**სანდრო** — აბა, გამომიცანი!

**პარასკევა** — (თავს ინთავისუფლებს) ვინა ხარ, რას დაჯირითობ?

**სანდრო** — (მოთაფლული ხმით) ვინ უნდა ვიყო, მე ვარ ალექსანდრე მაკედონელი.

**პარასკევა** — გაგაალექსანდრებ მე შენ... ალბათ კიდევ ბურთი გადმოგივარდათ. იცოდეთ, სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ. მესამედ ჩავასმევინე მინა ფანჯარაში.

**გივი** — დიდედა პარასკევა — ბურთის მანამდე აღარ ვითამაშებთ, ვიდრე თქვენ თვითონ არ გვიყიდით.

**პარასკევა** — მანამ პური არ ჭამოთ, სანამ მე ბურთი არ გიყიდოთ. იქით დამეკარგეთ, ბარემ მოვგავო და მოვათავო (გივი სანდროს ანიშნებს, უთხარიო).

**სანდრო** — დიდედა პარასკევა, ხვალ მიწისძვრა იქნება.

**პარასკევა** — (პირჯვარს გადაიწერს) მშვიდობა აქაურობას! რამდენ ალუბლიანიო, შვილო?

**გივი** — რამდენი და ორმოცალუბლიანი. მერე სულ, კუნწულებალუბლიანი.

**პარასკევა** — ჯვარი აქაურობას!

**სანდრო** — დიდი რამე! ბევრი-ბევრი, თქვენი საბძელი დაინგრეს.

**პარასკევა** — იჰ, საბძელს თქვენი ჭირიც წაუღია...
(ბიჭები გახარებულები შესცქერიან ერთმანეთს. მიდი, მიდიო, — აქეზებენ ერთმანეთს).

**გივი** — დიდედა პარასკევა, შეიძლება თქვენს საბძელში ველოსიპედი შევინახო?

**პარასკევა** — აბა-ბა-ბა-ბა! საბძლის გასაღებს ხელში ვერ ჩაიგდებ, ათასი წვრილმანი მიწყვია.

**სანდრო** — გეხვეწებით რა, დიდედა პარასკევა (ყელს უწევს).

**პარასკევა** — (ცოცხს მოუქნევს) დაიკარგეთ აქედან.

**გივი** — სანდრო, მოახსენე დიდედა პარასკევას, რომ ეს საბძელი სჭირდება სასწრაფო დახმარების ეკიპაჟ „კისკისას".

**პარასკევა** — შვილო, თუ სასწრაფოსთვის გინდოდათ, ვერ მითხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით? დიდი სიამოვნებით დაგითმობთ. ცუდად გავხდები თუ არა, ჩემი ფეხით გადმოვალ ხოლმე. (ბიჭები სიცილით იგუდებიან). გივი, ეს — მამაშენი იზრუნებდა ჩემზე. ექიმი კი არა, ანგელოზია! ხვალ დილიდანვე გავაღებ კარებს და, რაც ხარახურა მიწყვია, სულ პანტაპუნტით მოვისვრი ხევში. საღამოსთვის აქაურობა სულ დაწკრიალებული მექნება.

**გივი** — თქვენ გასაღები მოგვეცით, აქაურობას ჩვენ მოვუვლით (პარასკევა კაბის კალთას იწევს, გულსაბნევით დამაგრებულ გასაღებს შეიხსნის და ბიჭებს გაუწვდის).

**სანდრო** — თუ თქვენ ხვალიდან ცუდად გახდეთ, კისერი მოგვჭრით.

**გივი** — „სასწრაფო“ ეზოში ეყოლება და ცუდად რად გახდება.

**პარასკევა** — მადლობელი ვარ, ბიჭებო, თქვენ გაეზარდეთ დედმამასა. ახლავე ვიგრძენი შვება სახსრებში. დღეს მთელი დღე მუხლები ვერ გავშალე.

**ჩაბნელება**

●

**მამუკას სახლი. წინ — პატარა ბაღჩა. ჭიშკარს მოადგებიან თინა, მარინე, დარეჯანი და რუსუდანი. იყურებიან ფიცრულ ღობეში.**

**თინა** — შინ არის, ბაღჩაშია, ყვავილებს ძირებს უბარავს. (ეძახის) მამუკა!

**მამუკას ხმა** — ვინ არის?

**გოგონები** — ჩვენა ვართ! თინა, მარინე, დარეჯანი, რუსუდანი.

**მამუკა** — (ჭიშკარს აღებს) რა შორიდან იძახით, შემოდით. (გოგონები შედიან)

**მარინე** — (ყვავილებს გადახედავს) რა ლამაზი ყვავილებია!

**მამუკა** — ამოდით!

**თინა** — არა უშავს. ამ ყვავილების ყურებას რა სჯობია! (ჩამოჯდება ხის სკამზე, გოგონებიც გვერდით მიუსხდებიან). მამუკა, ჩვენ გვეგონა, ავად იყავი.

**მარინე** — ერთი კვირაა, სკოლაში არ დადიხარ.

**მამუკა** — (თავს ჩაღუნავს) რამე თქვა ნატო მასწავლებელმა?

**დარეჯანი** — რა უნდა თქვას, ყურნალში „არები“ გეწერება. გუშინ გეომეტრიამ გაგიძახა.

**თინა** — ხვალაც გვაქვს გეომეტრია. გადავწყვიტეთ ერთად ვიმეცადინოთ.

**მარინე** — გეომეტრიის წიგნი ხომ გაქვს?

**მამუკა** — როგორ არა, მაქვს.

**დარეჯანი** — ადი და ჩამოიტანე, რაღას უყურებ?

**მამუკა** — ახლავე. (მიდის).

**თინა** — ხედავთ, გოგოებო, რა დაღონებულია! უნდა გავამხიარულოთ.

**დარეჯანი** — როგორ გავამხიარულოთ?

**მარინე** — როგორ და... რაც კი პირზე მოგვადგება, ვიხუმროთ. მამუკა გუნებაზე მოვა და გეომეტრიის გაკვეთილს ადვილად დაისწავლის (ისმის ხალისიანი მუსიკა).

**დარეჯანი** — ბიჭოს, რადიოც გვეხმარება. რა მხიარული მელოდიაა. მოდით, გოგოებო, ჩქარა (გოგონები ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ და მამუკას ცეკვა-ცეკვით ეგებებიან. ღობეს მოადგებიან: გივი, სანდრო და გელა. გაინაბებიან).

**თინა** — (სიმღერით) გუშინ დილით, დღისით, მზისით, ამობრძანდა მასთან გელა.
(დარეჯანზე ანიშნებს)

**დარეჯანი** — შეჯდა ტრაბახობის რაშზე, გააჭენა, გააგელვა.

**მარინე** — და დაიწყო თავის ქება.

**თინა** — მიჰყვა-მოჰყვა, რაღა არ თქვა, — თუ ვარ, მე ვარ მთელ კლასშიო;

**დარეჯანი** — ფეხბურთში თუ ჭადრაკშია, აბა, ვინ მყავს ბადალიო.

(მამუკა იცინის, გოგონები უფრო გახალისდებიან).

**მარინე** — ნიშნებიდან, თქმა არ უნდა...

**თინა** — უყვარს კოხტა ხუთიანი.

**დარეჯანი** — უყვარს, მაგრამ ორები ჰყავს,

**სამივე ერთად** — თითო-თითო ფუთიანი. (იცინიან).

**მამუკა** — უჰ, რამდენი ვიცინე!..

**გივი** — (ჭიშკარს შეაღებს) ნეტავი რა გაგიხდათ გოგნიაანთ გელაო...

**სანდრო** — ამის გამასხრებისათვის ძირში მოგწყდეთ ენაო.

**გელა** — ხეპრე კი არა ვარ, ხუმრობა ვერ გავიგო.

**თინა** — გვეყოფა ხუმრობა, ახლა ვიმეცადინოთ.

**სანდრო** — ვიცი, ხვალ გეომეტრია მე გამიძახებს.

**გელა** — ბიჭო, გეომეტრია კი არა, გეომეტრიის მასწავლებელი გაგიძახებს.

**დარეჯანი** — (სანდროს აწვდის წიგნს) აჰა, გადაშალე და წაიკითხე.

**სანდრო** — (წიგნს გადაშლის. ამხანაგები გარს შემოუსხდებიან) სამკუთხედ აბოცოში, აბო ტოლია ბოცოსი. (ბავშვებს აუტყდებათ სიცილი) რას იცინით? აბა, ნახეთ, თუ სწორად არ ვკითხულობ.

**თინა** — აბოცო კი არა, აბეცე; აბე ტოლია ბეცესი.

**სანდრო** — დიდი ამბავი, „ე“-ს მაგივრად, „ო“ ვთქვი. ქართულად „ო“ უფრო სწორია: აბო ტოლია ბოცოსი.

**გივი** — მე მგონი საკუთარ გეომეტრიას იგონებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გელა** — ვისზე რა ნაკლებია! (იცინიან)

**გივი** — თქვენ იცინით და, ჯიბრზე ისეთი გეომეტრია უნდა გამოვიგონო, რომ სულ ენა მოიტეხოთ კითხვისას. მაგალითად: სამკუთხედი „მრაჟოხცი" ტოლია სამკუთხედ „წოხჭიკრესი" (იცინიან).

**თინა** — (წიგნს გამოჰგლეჯავს და მამუკას აწვდის) აჰა, შენ წაიკითხე, ჩვენ ყურს დაგიგდებთ.

**მამუკა** — (კითხულობს) სამკუთხედ აბეცეში აბე ტოლია ბეცესი.

ფარდა

## მოქმედება მეორე

### სურათი პირველი

ეკიპაჟ „კისკისას" შტაბი. ირგვლივ გაკრულია პლაკატები: „სიცილი მოწყენილობის მკურნალია". „სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია". „მოწყენილობა ხუთოსნობის მტერია". „მართლად უთქვამთ მეცნიერთა: „წყენაამ ჭირთა ბადე".

**თინა** — მამუკა დღესაც არ მოვიდა სკოლაში.

**მარინე** — გუშინ ტყუილად ვაცინეთ. აბა, რა გამოვიდა?

**დარეჯანი** — როგორ მოვიდოდა, — წუხელის ძია პავლე ნასვამი მოვიდა. ისეთი აყალმაყალი ატეხა, რომ...

**რუსუდანი** — თაკილობს სამუშაოდან მოხსნას და ღვინოს ეტანება. აუკრძალონ სმა და ეგ იქნება.

**თინა** — გუშინ რა კარგ გუნებაზე მოვიდა მამუკა.

**გელა** — ესე იგი, ყოველდღე უნდა ვიაროთ მასთან.

**მარინე** — ავთანდილმა მეგობრობის გულისათვის, სამი წელი მიატოვა მიჯნური და ჩვენ რომ ერთი-ორჯერ მივიდეთ ამხანაგთან, დიდი ამბავი!

**დარეჯანი** — არ დავიწყება მოყვრისა,

**რუსუდანი** — აროდეს გვიზამს ზიანსა.

**მარინე** — კვლა იტყვის: „მიკვირს ნაღველი კაცისა ჰკუიანისა.

**დარეჯანი** — რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?"

— აბა, რა ადგილია, სანდრო?

**სანდრო** — (კეფას იქექავს) რა და... (ყველანი ჩაფიქრდებიან)

**გელა** — ეგ ავთანდილის სიტყვებია, მეორედ რომ წავიდა ტარიელის საძებნელად.

**თინა** — ხუთიანი! ხუთიანი! (ორივე ხელს მაღლა ასწევს და თითებს შლის, სხვებიც მიჰბაძავენ) ეკიპაჟო, „კისკისა", მეგობრის სამსახურისთვის იყავ მზად!

**ყველანი** — მზად ვართ!

**სანდრო** — შეხედეთ, დიდედა პარასკევა რა მარჯვედ ურტყამს ბარს. (სცენა ოდნავ შემოტრიალდება, გამოჩნდება პარასკევას ბოსტანი, პიონერები ესალმებიან პარასკევას).

**პარასკევა** — თქვენ ეი, ონავრებო, აკი სასწრაფო უნდა დავაყენოთო? (ძლივს იშლება წელში, გონები გაოცებულები შეჰყურებენ. სანდრო და გივი გამოსავალს ეძებენ).

**სანდრო** — ცუდად ხომ არა ხართ, დიდედა პარასკევა? (ეფერება)

**პარასკევა** — იქით გაიწი, ცუდად ნუ იმანჭები. მაგ ხარახურების გადაყრამ მიყო, რაც მიყო. წელში ვეღარ ვიშლები. ახლავე დამიბრუნეთ საბძლის გასაღები, თორემ ან მე ვიქნები და ან თქვენ. ეს რეები გაგიკრავთ?

**სანდრო** — ეს გახლავთ წამლები!

**გივი** — დიახ, წამლები! გინდათ ახლავე მოგარჩინოთ?

**პარასკევა** — მამაშენის წამლებს მაყვედრი?

**გივი** — რა შუაშია მამაჩემი? გემსახურებათ ეკიპაჟი „კისკისა".

ეგ ბარი აქ მომეცით. მეორე აღარა გაქვთ სანდროსთვის? (სანდრო შემოარბენინებს მეორე ბარს. ბიჭები ბოსტანში დატრიალდებიან. დანარჩენები პარასკევას წრედ შემოერტყმიან და მღერიან:

„წელკავო, წელკავო, წელკავო,
ნეტავ რა გინდა ჩვენსაო,
წადი, ქორწილში იცეკვე.
ფერხული უნთია მზესაო".
(ორჯერ გაიმეორებენ)

**პარასკევა** — (ხან იქით მიტრიალდება, ხან აქეთ! თქვე შეჩვენებულებო, ესაო და მოხუციაო, მაბიაბრუებთ?! (ამ ტრიალში უნებურად წელში გაიშლება) თქვენ გაიხარეთ, თქვენი კეთილი გული, შვილებო, ყველა წამალზე უებარია!

**გელა** — მე ერთი წინადადება შემომაქვს, ეკიპაჟელებო!

**ხმები** — გისმენთ!

**სანდრო** — დიდედა პარასკევა ავირჩიოთ ჩვენი ეკიპაჟის საპატიო კაპიტნად!

**ხმები** — (მხიარულად) არის, ავირჩიოთ დიდედა პარასკევა ჩვენი ეკიპაჟის საპატიო კაპიტნად! (ეკიპაჟელები შემოეხვევიან პარასკევას და ხელში იტაცებენ)

**პარასკევა** — მომეშვით, არ დამაგდოთ, თქვე ონავრებო, თქვენა!

**თინა** — ეკიპაჟ „კისკისას" შტაბის გასაღები გადაეცეს დიდედა პარასკევას, (სანდრო პარასკევას გაუწოდებს გრძელ, წითელ ლენტზე ჩამოკონწიალებულ გასაღებს).

ფარდა

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ჩხაიძე
საბჭოთა კავშირის გმირი.

პიონერი პატივს სცემს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას და ემზადება, რომ გახდეს სამშობლოს დამცველი.

საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებიდან.

# მას საქართველო დარჩა ოცნებად

## „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!"

— იქ, მთებში გულადი, ღონიერი ხალხი ცხოვრობს: შიშველი ხელებით აღრჩობენ ვეფხვებს. . . .

ვიტიამ ფარულად მუჯლუგუნი გაჰკრა ანდრეის: აქაოდა, რას აბუქებს ეს ჩვენი მეგობარი, მართლა ბავშვები ხომ არა ვგონივართო. ვოვას რას გამოაპარებ. მიხვდა, რომ მის ნათქვამში ეჭვი შეეპარათ.

— არ გჯერათ? აი, წავა დედა ბაზარში და მე თქვენ ნამდვილ წიგნში გაჩვენებთ ნახატს. მაშინ რაღას იტყვით?

დედა და თამარი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. . . ვოვამ ისევ წამოიწყო ახალი ამბავი მის მიერ უნახავი და ლამის ზღაპრადქცეული საქართველოს შესახებ. შიგადაშიგ ავტორიტეტულად მოიშველიებდა ხოლმე: თვითონ მამამ მიამბოო.

ბიჭები ჩხაიძეების ფართო აივანზე ისხდნენ. ფიზიკის მასწავლებლის — მიხეილ ჩხაიძის ოჯახი მოსკოვში, კოოპერაციის ქუჩაზე, ფართოსა და ნათელ ბინაში ცხოვრობდა. უფროსი დები ოლია და თამარი იმხანად სტუდენტები იყვნენ, ლექციებზე დადიოდნენ და ნაბოლარა ვლადიმერის ამხანაგებს დილიდან შუადღემდე აკლებული ჰქონდათ ბინა. „რას დავეძებ, ოღონდ ქუჩაში ნუ [illegible] იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს", — ამშვიდ[illegible]ოა ოჯახის დედა ანტონინა ალექსის ასული ვოვას მეგობრების მშობლებს, რომლებიც მასთან საბოდიშოდ მოდიოდნენ.

მეოთხე სართულის აივანზე კი საოცარ ამბებს მოუთხრობდა ვოვა ვიტიასა და ანდრეის: შორეულ საქართველოში მარადმწვანე ხეებით დაფარულ მთის ფერდობზე გაშლილია სოფელი აცანა. იქ თოვლი დიდხანს ვერა სძლებს („ასე კი არაა", — და ვოვამ ფანჯარაში გაიხედა). იქ ცხოვრობდა ბაბუა სტეფანე. სტეფანე ბაბუას ზღვისკენ, ბათუმისაკენ, რკინიგზა გაჰყავდა, მაგრამ ერთხელ რკინებმა ქვეშ მოიყოლიეს და...

ვოვას მამა დაობლდა. მერე ის იყო კეთილმა ადამიანებმა სასწავლებლად რუსეთში გამოგზავნეს.

— მერე აღარ ჩასულა საქართველოში?

— არა. მე და მამა ერთად წავალთ, გაისად.

— ვოვა, ვოვა! ვლადიმერ! — აიკლეს ყვირილით ბიჭებმა ეზო. ვოვა კი ტახტზე, მამის გვერდით მოკალათებულა. ახლა ის უკვე მეოთხეკლასელი ბიჭია, სერიოზულობაც მეტი მართებს.

— შენ გეძახიან, — ამბობს მამა.

— არა, ვოვა ივანოვს, მეხუთე სართულზე რომ ცხოვრობს.

— ჰოდა, მაშინ უთხრა ხევისბერმა ონისეს: გახსოვდეს ვისი გორისა ხარო... ვისი გორისა ხარო, — იმეორებს მამა და უხსნის შვილს, რას ნიშნავს ეს თქმა.

ტელეფონი აწკრიალდა.

— დიახ, დიახ, მოვდივარ. ათ წუთში სკოლაში ვიქნები. ვლადიმერ, კითხვა უნდა გადავდოთ.

ეზოდან ჯერ კიდევ ისმის სტვენა. ვოვა ფანჯარას მივარდა: — მოვდივარ, ბიჭებო! მოვდივარ!

„მოსკვა-რეკა" წყალუხვი მდინარეა. ქვის ჯებირებში ჩაჭედილი ნელა მოაგორებს რბილსა და თბილ ტალღებს. ვოვა თევზივითა გრძნობს თავს „მოსკვა-რეკაში". „ბრასით" მიცურავდნენ ბიჭები. მერე გულაღმა გაწვნენ ტალღებზე.

— შორს ნუ წავალთ. ერთ საათში სკოლაში უნდა ვიყოთ. ოთხზე თამაში იწყება.

ვოვა, ანდრეი, ვიტია, ტოლია. . . ოთხი ბიჭის სხეული გულაღმა ამოტრიალებული ორაგულივით ბზინავს მოსკოვურ მზეზე.

— რა სეირი იქნება, „სუსტებმა" რომ მოვიგოთ!

— ვოვა ხომ ჩვენთან თამაშობს!

— ვოვა ერთია, ჩვენ ათნი.

— მერე რა. . . . .

უეცრად კივილი მოისმა. ვოვამ უმალვე გაცურა ამობრუნებული ნავისაკენ. ბიჭებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ.

ღრმად არც კი ჩაუყვინთავს. წყალში ჩაძირულს ხელები ჩაავლო და მაღლა შეისროლა. ზევით რომ ამოცურა, დაინახა: წყლის ზედაპირზე ქალი ფართხალებდა.

— ნუ გეშინია! ბიჭებო, ჩემსკენ!

ბიჭებისაკენ თუხთუხით მოაპობდა მდინარეს მოტორიანი ნავი.

ნაპირზე რომ ამოვიდნენ, მაშინღა შეიტყვეს ბიჭებმა: ორნი მსხდარან ნავში, ეს ქალი და. . . იქვე იდგა მთლად

პიონერი გმირი ბავშვობა...

გალუმპული ახალგაზრდა კაცი. ვიღაცა თავზე ხელს უსვამდა ვოვას, ერთმა ქალმა ლოყაზე აკოცა, მერე ვიღაც მაღალი კაცი მოვარდა და ბიჭების გვარები ჩაიწერა. გაამწკრივა და სურათი გადაუღო.

ვოვა მოღუშულია ამ სურათში. იგი იმ გალუმპულ კაცზე ფიქრობდა: ,,რა დიდია და რა მშიშარა, — ქალი მიატოვა წყალში".

... ოთხ საათზე სკოლის ეზოში უკვე პირისპირ იდგნენ ,,სუსტები" და ძლიერები. ეს იყო 54-ე სკოლის მეოთხე კლასებში არჩეული ბიჭების ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ერთში ფიზიკურად უფრო ძლიერი, თამამი ბავშვები იყვნენ. მეორეში კი, ვოვას გარდა, ჩია და მართლაც სუსტ ბიჭებს მოეყარათ თავი.

საიდანღაც ფიზკულტურის მასწავლებელი სერგეი პოკროვსკი გამოჩნდა და გაოცებულმა იკითხა: ეს რა დაყოფააო.

— პრინციპული მატჩია, პატივცემულო მასწავლებელო, — უთხრა მას ვოვამ. — მოზრდილები ჯანით ჩაგრავენ პატარებს, თორემ ფეხბურთის თამაში უკეთესად კი არ იციან... ჰოდა, ჩვენ გვინდა ეს დავუმტკიცოთ მაგ ყოყლოჩინებს.

პოკროვსკის არ უმსაჯნია ის მატჩი. ბავშვებს გაეცალა და პიონერთა ოთახიდან ადევნებდა თვალს პაექრობას, უყურებდა ვოვას, თავგამოდებით რომ ქომაგობდა სუსტებს.

პიონერთა ოთახის კარები ფიზიკის მასწავლებელმა შეაღო.

— სერგეი ვასილის ძევ, ჩემი ბიჭი ხომ არ გინახავთ?

პოკროვსკიმ თვალი მოწყვიტა ეზოს.

— ვლადიმერი? ეზოშია, ფეხბურთს თამაშობს, — თქვა და უცებ გააგრძელა, — რა მოხდა, მიხეილ სტეფანეს ძევ თქვენ თითქოს ღელავთ.

მიხეილმა თავაზიანად შეიპატიჟა ვიღაც უცნობი ოთახში.

— არაფერია, არაფერი. აი, ეს ამხანაგი გაზეთიდანაა. ვლადიმერს წელან ქალი გადაურჩენია ,,მოსკვა-რეკაზე".

პოკროვსკის სახე გაუნათდა.

— ბიჭია-მეთქი, ბიჭი! — წამოიძახა მან და ერთადერთი მისთვის ნაცნობი ქართული სიტყვაც მოიშველია — ,,გენაცვალე" ბიჭია, მიხეილ სტეფანეს ძევ.

... სუსტებისა და ძლიერების მატჩი ფრედ დამთავრდა.

## მ ა ი ა

მაია ესენინს აღმერთებს. ,,მაიაკოვსკი, ცხადია, დიდი პოეტია, მაგრამ, რა ვქნა, მე სერგეი ესენინი მირჩევნია. ეგებ ვერც დაგისაბუთოთ — რატომ, მაგრამ ასეა, როგორღაც ახლოსაა ჩემს სულთან".

როცა ამას ამბობდა, საოცრად უშუალო და კარგი იყო მაია. კლასში სხვაც ბევრი იყო ფრიადოსანი, კარგი გოგონა, მაგრამ მაია მაინც სხვა იყო.

ვლადიმერი და მაია პირველი კლასიდან ერთ მერხზე ისხდნენ. მეცხრე კლასში ვლადიმერმა მაიას შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად თარგმნილი ,,ვეფხისტყაოსანი" აჩუქა წარწერით. ამის შემდეგ მაია სხვა მერხზე გადაჯდა. არ უჩხუბნიათ. მეგობრობა გრძელდებოდა.

მეათე კლასში რომ იყო — ვლადიმერი კინაღამ მილიციის განყოფილებაში არ მიიყვანეს!..

მაია და ვლადიმერი კინოდან ბრუნდებოდნენ. მაიას სახლის წინ ორ აწოწილ, მთვრალ ბიჭს გადაეყარნენ.

— მოდი, ბიჭო, ახლოს. რა განი-გან მიჰყვები ანგელოზს! — ეუბნება ერთი მათგანი ვლადიმერს. — [illegible] გორ უნდა კავალრობა, თქვე[illegible] საკენ გადადგა ნაბიჯი.

ვლადიმერმა ველარ მოზომა... ხულიგანი მიწას რომ დაასკდა, მისმა ამხანაგმა მყისვე უშველა თავს.

— დაბრუნდი, მიხედე, დაბრუნდი! — მისძახოდა ვლადიმერი გაქცეულს. მერე კი თვითონ მიხედა. ჯერ საავადმყოფოში წაიყვანა, ხოლო შემდეგ სახლში მიაცილა.

ცხადია, ვლადიმერ ჩხაიძეს თავისი ვინაობა არ დაუმალავს და კინაღამ უსიამოვნებას გადაეყარა ამის გამო. ისევ იმ გალახულმა და მისმა მშობლებმა იხსნეს...

18 ივნისს 54-ე სკოლის კურსდამთავრებულებს გამოსაშვები საღამო ჰქონდათ. სურათს რომ იღებდნენ მაია ვლადიმერს ამოუდგა გვერდით. ისინი დგანან სახენათელნი, ბედნიერნი. მერე, მოსკოველ სკოლადამთავრებულთა ტრადიციული მარშრუტი — წითელი მოედანი... მაიას ეცვა თეთრი ქათქათა კაბა; თაფლისფერ თმებზე კი უკვე აღარ ეკეთა ბაფთა.

ორი დღის შემდეგ ომი დაიწყო. პირველ ხანებში ადამიანები გაოგნებულნი დადიოდნენ. ფიზიკის მასწავლებელი მთლად მოტეხა პასუხმა, რომელიც მან წერილობით მიიღო სამხედრო კომისარიატიდან: თქვენი ასაკით, მეომარს აღარ შეეფერებითო, ე. ი. რაღადროს შენი ომიაო, ბაბუა!

დედაქალაქის თავზე ავისმომასწავებლად აღმუვლდნენ სვასტიკიანი სვავები. სახურავებზე მორიგეობა დაწესდა, ეზოებში ტრანშეებს თხრიდნენ. ვლადიმერი იშვიათად მიდიოდა ტელეფონთან, რომ მაიას გამოლაპარაკებოდა.

— ალო! მაია!

— რა იყო, ვალოდია?

— სადგურზე გამოდი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი სადგურის შენობის მყუდრო კუთხეში იდგნენ. ბაქანზე მოსულიყო ჩხაიძეების მთელი ოჯახი და მაიამ რატომღაც დაიმორცხვა.

— ცუდია, რომ მიდიხარ. . .

ვლადიმერი დუმდა.

— გამიჭირდება უშენოდ, უმეგობროდ.

## 7 დ ღ ე

სარატოვის სატანკო სასწავლებელი ომის წლებში წიწილებივით ჩეკავდა ოფიცრებს. ეს პირტიტველა ჭაბუკები ეკიპაჟის უფროსები კი ხდებოდნენ, მაგრამ მათი ხასიათის წვრთნისათვის, დავაჟკაცებისათვის აქ არც დრო იყო და არც ეცალათ. ისევ სკოლა და კომკავშირი შველოდათ ახალგაზრდებს. შველოდათ და, მერე როგორ!

როცა ვლადიმერ ჩხაიძემ ტანკისტთა სკოლის ეზოში ცეცხლმოდებული საწყობი აფეთქებას გადაარჩინა, პოლკოვნიკმა მას მწყობრის წინ მადლობა გამოუცხადა და პოლიტნაწილის უფროსს უბრძანა:

— შეატყობინეთ მშობლებს!

მწყობრი რომ დაიშალა, ვლადიმერი პოლკოვნიკს მიუახლოვდა:

— ნება მომეცით მოგახსენოთ, — მხედრულად მიმართა და მერე სთხოვა: — ნუ მისწერთ ჩემს მშობლებს. მე არაფერი გამიკეთებია ისეთი; თანაც არ მინდა იცოდნენ, რომ დამწვრობა მივიღე.

პოლკოვნიკს ბუდიონისებური ულვაშები ჰქონდა. იმ ულვაშებმა დამალეს კმაყოფილების ღიმილი...

„დედა, მამა, თამარ, ლუბა! უმცროსი ლეიტენანტი ვ. მ. ჩხაიძე ნაწილში მივემგზავრები“, — მიიღეს დეპეშა კოოპერაციის ქუჩაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ დნეპრთან, მუშურინი როგის რაიონში, ვლადიმერმა ტანკი „ოცდამეთოთხმეტე“ ჩაიბარა და ეკიპაჟს გაეცნო. საღამოს დ. ტორკინის ბატალიონმა, რომელშიც ჩხაიძის ტანკიც შედიოდა, დნეპრის ფორსირება დაიწყო.

დ ღ ე პ ი რ ვ ე ლ ი.

დილით უკვე დნეპრს გაღმა იდგნენ ჩვენი ტანკები. ბონდარენკო სიცივისაგან კანკალებდა.

— ცივია დედა-დნეპრი, — ამბობდა იგი. — ლეიტენანტო, ამასთან შედარებით მტკვარი, ალბათ, დუბელაა არა? ვლადიმერი წინ იცქირება. ჰორიზონტზე უკვე ჩანდნენ „ვეფხვები“, გრილ ნიავს მოჰქონდა მათი მუხლუხების ყრუ ხმა.

— რას იტყვით, მეთაურო — არ ცხრებოდა ბონდარენკო.

— თბილია, თბილი და სანატრელი, მეგობარო, — ამბობს ვლადიმერი და ირგვლივ იხედება. მარჯვნივ № 13 ტანკია, — ტროფიმოვი. მარცხნიდან № 14 ამოსდგომია გვერდში, — გიტინა მაგამედოვი — ლეკი.

— დროა, ლეიტენანტო, ისვრიან.

— სიდოროვ, მთელი სისწრაფით წინ! ცეცხლი!

შუადღისას „ვეფხვებმა“ ზურგი უჩვენეს ჩვენს ტანკებს. ნერვიულობისაგან ხმაჩახლეჩილი ბობოქრობდა ჩხაიძე:

— სიდოროვ, სწრაფად! ეროიც, ბიჭებო! ცეცხლი!

საღამოს, ტყის პირას, მოკლე წერილი დაწერა: „მაია! იცი, რა გრძნობაა! როგორ გითხრა?! ჩახმახივით ხარ შემართული და კი არ იცინი, ხარხარებ, ხარხარებ აბოლებულ „ვეფხვს“ რომ უყურებ... ალბათ წელსაც ველარ წავალთ თბილისში. ვოვა.“

დღე მეორე. . . მესამე. . . მეოთხე. . . მეხუთე დღეს პოლკოვნიკმა ტორკინმა სამი „ვეფხვის“ განადგურებისათვის შეაქო და ორდენზე წარადგინა. მეექვსე დღეს უსაყვედურა: ნუ გარბიხარო წინ და აი, მეშვიდე დღე — 7 ოქტომბერი.

დილიდანვე ისევ გამობობღდნენ „ვეფხვები“. ისევ აუცდენლად ურტყამდა „ოცდამეთოთხმეტის“ კოშკურიდან ქვემეხი. იმ დღის ანგარიშზე უკვე სამი „ვეფხვი“ იყო და, ჯერი მეოთხეზე რომ მიდგა, სიდოროვმა მეთაურს ასძახა:

— ლეიტენანტო, ვიწვით!

ეს ის წუთი იყო, როცა ჩხაიძემ ორ „ვეფხვს“ შუა მომწყვდეული გიტინა მაგამედოვის ტანკი შენიშნა.

— არაფერია. სიდოროვ, მარჯვნივ ჩვენს ლეკს უჭირს. . .

ცეცხლი უკვე ტანსაცმელზე ბრიალებდა, კიდევ ერთხელ რომ იქუხა ქვემეხმა კოშკურაზე.

„ერთს თვითონაც გაუმკლავდება ლეკი“,. — ეს იყო ვლადიმერის უკანასკნელი გაფიქრება. . .

პოლკოვნიკ ტორკინს შუბლზე ღვარად ჩამოსდიოდა შავი ოფლი და თვალებს უწვავდა.

— გმირობა. თავგანწირვა და გმირობა. ჩხაიძე გმირად იყო დაბადებული გესმით? — ჩასძახოდა იგი საველე ტელეფონში.

კოოპერაციის ქუჩაზე, 54-ე სკოლის შენობაზე გაკრულია მემორიალური დაფა: „აქ სწავლობდა საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ მიხეილის ძე ჩხაიძე“. ვრცელ დერეფანში ვეებერთელა სტენდია. სურათიდან შუბლგახსნილი ქართველი ჭაბუკი გიცქერით, ჭაბუკი, რომელსაც საქართველო ოცნებად დარჩა. . .

მაგრამ ხომ დაამტკიცა „ვისი გორისა იყო.“

**გივი ჭელიძე.**



სულ რაღაც საუკუნენახევრის წინ, მე-18 საუკუნის ბოლოს ქალაქი თბილისი ქვიტკირის გალავნით იყო შემოზღუდული; გალავანს ჰქონდა ექვსი კარი — სამი — სამხრეთით და სამიც ჩრდილოეთით.

ჩრდილოეთის კედელი იწყებოდა სოლოლაკის ქედიდან (სადაც ახლა „ქართვლის დედის" ქანდაკება დგას), მიემართებოდა მოედნისაკენ და მთავრდებოდა მტკვართან, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბარათაშვილის სახელობის ხიდია. კედლის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა „გარეთუბანი", ესე იგი გარეთუბნად ითვლებოდა ახლანდელი ლენინის მოედანი, რუსთაველის პროსპექტი და მასთან ახლო-მახლო მიდამოები.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ქალაქი იწყებს გაფართოებას მტკვრის აღმა, ჩრდილოეთისაკენ.

ძველ გარეთუბანში ყველაზე დიდი შენობა აიგო გასული საუკუნის დასაწყისში, 1807 წელს. ეს იყო მეფის მოხელის, საქართველოს მთავარმართებელის რეზიდენცია.





პირველ სურათზე მოჩანს ხეებით დაფარული ამ სასახლის ნაწილი, სასახლის გვერდით ვხედავთ გუმბათს. ესაა გუმბათი სამხედრო ტაძრისა, რომელიც 1877 წელს კავკასიის ომის აღსანიშნავად ააგეს.

სურათზე მოჩანს გოლოვინის პროსპექტის ხედი. (გენერალი გოლოვინი იყო საქართველოს მთავარმართებელი 1838-42 წლებში), ეს პროსპექტი ყველაზე ფართო ქუჩა იყო მე-19 საუკუნის თბილისში, მისი ქვით მოკირწყვლა დაიწყო 1861 წელს.

იმ დროის თბილისში ტრანსპორტის ერთადერთი სახე იყო ეტლი; 1883 წელს კი მის გვერდით გაჩნდა ტრამვაის „წინაპარი" კონკა. კონკა წარმოადგენდა რკინის ლიანდაგზე შემდგარ, ორივე მხრიდან ღია ვაგონს, რომელშიც შებმული იყო რამდენიმე ცხენი. ტრანსპორტის ამ სახემ თბილისში პირველად გოლოვინის პროსპექტზე დაიწყო მოძრაობა.

თბილისის მშენებლობამ გაცხოველებული სახე მიიღო კავკასიის პირველი მეფისნაცვლის გრაფ მიხეილ ვორონცოვის დროს, (1845-54 წლებში).

ვორონცოვამდე კავკასიაში მეფის რუსეთის უმაღლეს მოხელეს ეწოდებოდა მთავარმართებელი, რომელიც ემორჩილებოდა რუსეთის იმპერიის სენატს. მეფის ნაცვალი კი უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდა და ემორჩილებოდა უშუალოდ რუსეთის იმპერატორს.

თავის წინამორბედ მოხელეთაგან გრაფი ვორონცოვი განირჩეოდა შორსმჭვრეტელობით. დიპლომატიური მოხერხებულობით. გრაფი მეფის ერთგული მსახური იყო და კავკასიაში მისი პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ გამტარებლად ითვლებოდა. მეფის რუსეთმა ღირსეულად დააფასა ვორონცოვის ღვაწლი და 1867 წელს, თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაუდგა ბრინჯაოს ძეგლი. (იხ. მეოთხე სურათი). ძეგლი დაიდგა შუა მოედანზე, მიხეილის, შემდგომში ვორონცოვის სახელით ცნობილი ხიდის წინ (ამჟამად აქ კარლ მარქსის სახელობის ხიდია), ძეგლი იყურებოდა ხიდისაკენ, რომელიც 1853 წელს იქნა აგებული. ამ ხიდით მარჯვენა ნაწილი დაუკავშირდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უბნებს — ჩუღურეთსა და კუკიას. დღეს ძველი გარეთუბანი მთლიანად მოქცეულია კალინინის სახელობის რაიონში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლენინის მოედნის კეთილმოწყობას.

1935 წელს აიღეს მოედნის შუაგულში მდგარი ძველი სავაჭრო დაწესებულება — ქარვასლა.

გაფართოვდა და მოასფალტდა გოლოვინის პროსპექტი, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. სამხედრო ტაძრის ადგილას აიგო საქართველოს მთავრობის სახლი.





1941 წელს თბილისის პიონერ-მოსწავლეებს გადაეცათ ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე, რუსთაველის პროსპექტზე, ერთსართულიანი სახლების ადგილას, აიგო ახალი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული დანიშნულების არქიტექტურული შენობები. ძველი ეკლესიის — „კალოუბნის" ადგილას აშენდა შოთა რუსთაველის სახელობის კინოთეატრი.

რუსთაველის პროსპექტი ქ. თბილისის მშვენება და სიამაყეა. მარტო აქ იმდენი კინოთეატრი და კლუბია, რამდენიც არ იყო მთელ რევოლუციამდელ თბილისში.

1929 წელს აღებული იქნა ვორონცოვის ძეგლი. დაიწყო კარლ მარქსის მოედნის გაფართოება და კეთილმოწყობა.

ორმოცდაათიან წლების ბოლოს დაიწყო კარლ მარქსის სახელობის ხიდის რეკონსტრუქცია. ძველი ხიდის ადგილას, რომლის ხივიწროვეც აფერხებდა ქალაქის სხვადასხვა ტრანსპორტის მოძრაობას, აგებული იქნა ახალი, ქართული მარმარილოთი მოპირკეთებული ფართო ხიდი.

თეიმურაზ ბერიძე.
ფოტო ა. ჩიჯოგიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩაძირული კუნძული

მწერალმა როდამ ჩაჩანიძემ ამ ორიოდე წლის წინათ თევზსაჭერ ტრაულერით ცხრა თვის მანძილზე თითქმის მთელი ატლანტიის ოკეანე შემოიარა. ზღვამ, მეთევზეთა ცხოვრებამ, ოკეანის სიღრმეების იდუმალებით მოცულმა სამყარომ მას გაუღვიძა სურვილი—შეექმნა ფანტასტური მოთხრობა.

ამ მოთხრობას გადავყავართ შორეულ მომავალში. ამბავი იწყება იმით, რომ ატლანტიის ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს სურებს. ეს აღმოჩენა მეცნიერებს გაახსენებს ძველ მითს, რომ ოდესღაც ატლანტიის ოკეანეში არსებობდა კულტურული სახელმწიფო ატლანტიდა. ისინი გადაწყვეტენ დაიწყონ ჩაძირული კუნძულის ძებნა. ექსპედიციაში ქართველ მეცნიერებთან, მყვინთავებთან, მეზღვაურებთან ერთად მონაწილეობენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც... თუ როგორ წარიმართა და რით დასრულდა ეს ექსპედიცია, ამას თქვენ გაიგებთ მაშინ, როცა გამომცემლობა „ნაკადული" რ. ჩაჩანიძის მოთხრობას—„ჩაძირულ კუნძულს" ცალკე წიგნად გამოსცემს.

ვბეჭდავთ ერთ თავს ამ მოთხრობიდან.

როდამ ჩაჩანიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

## სალამი შენ — მრისხანე ოკეანევ!

გემების საყვირის ხმამ პორტი გააყრუა. პირველად ლუზიდან მოეხსნა სატრანსპორტო გემი „იმედი". მან ზანტად მოიქნია ბოლო და ზღვაში შეცურდა. „იმედს" კვალში ჩაუდგა „გამარჯვება", შემდეგ „საქართველოზე" აათრიეს ღუზა, ბოლოს „კომუნაზე" აგუგუნდნენ ძრავები.

ნაპირზე ცაში იჭრებოდნენ მაშხალები. ისმოდა შეძახილები. უკრავდა მუსიკა. გემთა ქარავანი ნელ-ნელა შევიდა ზღვის სიღრმეში.

საფლაგმანო გემზე მთელი შტაბი იყო მოთავსებული. ირაკლის ოთახი ერთსა და იმავე დროს კაბინეტიც იყო, საძინებელიც და სათათბიროც. ზევით, გემბანზე, დიდ აუზში განუწყვეტლივ დაცურავდნენ აქვალანგისტები. ახლა ისინი ძალიან გავდნენ აქვარიუმში გამომწყვდეულ თევზებს.

გემები მთელი სისწრაფით მიდიოდნენ. საღამოთი მათ ქვემეხების გასროლით მიესალმნენ დარდანელში. ღამით ჩაუარეს საბერძნეთის კუნძულებს ევბეისა და ანდროსს. შემდეგ — სიცილია...

დილით უკვე აფრიკის სანაპიროს მიჰყვებოდნენ. შუადღისას გამოჩნდა ორანის კარიერები. ღამით ჩაუარეს იბერიის ნახევარკუნძულს და ოკეანეში შეცურდნენ.

გათენებისას გემბანზე ნელ-ნელა გამოჩნდნენ ეკიპაჟის წევრები. ყველანი ხარბად სუნთქავდნენ ოკეანის გრილსა და საამო ჰაერს და იქვე იწყებდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. რადიოში წყალქვეშა გემებიდან მიღებული რადიოგრამები წაიკითხეს. წყალქვეშელები ატლანტიკის ნაოსნობის დაწყებას ულოცავდნენ „გამარჯვების" ეკიპაჟს.

მაშ ასე, შორს დარჩა იბერიისა და აფრიკის სანაპიროები გემები ახლა სრული სვლით მიცურავდნენ დასავლეთისაკენ. მთელი დღე ისე მიცურავდნენ, რომ არც ერთი პატარა კუნძულიც კი არ შეხვედრიათ. იაროსლავმა თქვა, ხვალ დილაადრიან კანარის კუნძულების ლავიანი კონუსები გამოჩნდებაო. შემდეგ რაღაც ბურუსში შეცურდნენ. გემბანზე დარჩენილებმა უსიამოვნო სუნი იგრძნეს, სუნთქვაც გაჭირდა. — ყველანი კაიუტებში, — ბრძანა იაროსლავმა და მთლად გაშავებულ ტანსაცმელზე დაიხედა.

კაიუტებში დარჩენილები გაოცებული შეჰყურებდნენ გემბანიდან ფაციფუცით ჩამომავალ, შებოლილ დამიანებს.

— ეს რა უბედურებაა, — ამბობდა ვიღაც ახალბედა მეზღვაური.

— ატლანტის მტვერი გახლავთ, — განმარტავდა ბოხი ხმით ბორის პანოვი. — ეს არის კაჟის ჯავშნიანი ინფუზორებისაგან და მცენარეულობის ქსოვილების კაჟიანი ნაწილებისაგან შეჯერებული ჰაერი. იგი საკმაოდ შორს ვრცელდება. დიდი ხანია ამის გამოკვლევაზე მუშაობენ მეცნიერები. ზოგი ამტკიცებდა ეს მტვერი აფრიკიდან მოაქვს ქარსო. მართლაც, ქარის გავრცელებას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ეს ასე უნდა იყოს. მაგრამ მეცნიერებმა ამ მტვერში ვერ იპოვეს ვერც ერთი აფრიკული ინფუზორის სახე.

— მაშ, მტვერი სამხრეთ ამერიკიდან ვრცელდება? — იკითხა ახალბედამ.

— დიახ, ცდები ამას ამტკიცებენ.

— ასეა თუ ისე, მე ახლა აბაზანა და ტანსაცმლის გამოცვლა მჭირდება, — ხელი ჩაიქნია ახალბედამ და აბაზანისაკენ წავიდა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. შემდეგ ახალდაბანილები შიშით ადიოდნენ გემბანზე. ბორისი ბოხი ხმით ამხნევებდა მათ:

— ნუ გეშინიათ, ატლანტის მტვერი არც თუ ისე დიდხანს გრძელდება. ახლა გემბანს მივხედოთ. იგი მთლად გაშავდა ინფუზორებისაგან.

მეზღვაურებიც რიგ-რიგობით ადიოდნენ გემბანზე და მაშინვე საქმეში ებმებოდნენ. საქმე კი აქ საკმაოდ ბლომად დაუტოვებია ატლანტის მტვერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით უკვე კანარის კუნძულების ლავიანი კონუსები გამოჩნდა.

გემებმა ახლა კურსი სამხრეთისაკენ აიღეს და თითქმის პარალელურად მიჰყვებოდნენ კანარის კუნძულებს.

— პირველად შევჩერდებით სანტ-იაგოზე, — თქვა ირაკლიმ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია კანარის კუნძულების უბადრუკი ხედისათვის.

შუადღისას კუნძული სანტ-იაგოც გამოჩნდა. კუნძულს ოკეანის მხარეზე გასდევდა დიდი თეთრი ზოლი. ეს იყო ცნობილი კირქვიანი ზოლი.

კუნძულის სიღრმიდან ოკეანისაკენ ეშვებოდნენ ლავების გაქვავებული, ფართო და ყავისფერი მდინარეები. არც ერთი ხე არ ჩანდა. ირგვლივ მიდამო სულ ერთთავად გადაეხრუკა ტროპიკულ მზეს.

— ეს სად მოვედით, საჰარაში ხომ არ შევდივართ? — თქვა შორენამ.

— ასე ჩანს შორიდან, მაგრამ შემდეგ ნახავთ, რომ ეს ადგილები არც თუ ისე მწირია, — უპასუხა ბორისმა.

საფლაგმანო გემი უკვე პორტო პრაის პორტში შედიოდა. მის კვალდაკვალ წყალქვეშელებიც მიცურავდნენ. ღუზები ხმაურით ჩაუშვეს და პირველად, ამდენი ხნის მგზავრობის შემდეგ, ფეხი მიწას დაადგეს...

ნავსადგურში ხალხს მოეყარა თავი. ტაშის გრიალით შეხვდნენ სტუმრებს. ქალაქის მერმა, ერთმა ფერადკანიანმა კაცმა, წარმოთქვა ქათინაურებით აღსავსე სიტყვა. საპასუხო სიტყვით ირაკლი გამოვიდა. შემდეგ ექსპედიციის წევრები პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ.

ირაკლი და მისი მეგობრები წმინდა მარტენის ხეობისაკენ გაემართნენ. გზადაგზა ტკბებოდნენ ბუნების სიმშვენიერით. ასე მივიდნენ სოფელ რიბიერა გრანდემდე.

მარტენის ხეობა მკვეთრად განსხვავდებოდა მთელი კუნძულისაგან. აქ ჩუხჩუხებდნენ ნაკადულები და ბუნებაც ჰყვაოდა. ქოქოსის პალმებს დაეფარათ მიდამო ისმოდა ჩიტების განუწყვეტელი ჭიკჭიკი.

ხეობის თავში, მაღალ მთაზე ძველი ციხე-კოშკი ჩანდა. იგი ზვიადად საიდუმლო გულჩახვეულობით გადმოჰყურებდა მთელ ხეობას.

გვიან დაბრუნდნენ გემებზე. ღუზები ხმაურით ამოათრიეს და სტუმართმოყვარე კუნძულის გარშემოვლა დაიწყეს. როცა სანტ-იაგოს დასავლეთიდან მოექცნენ, გემები მთელი სვლით გაცურდნენ წინ. ნახევარი საათის შემდეგ ოკეანეში დრეიფზე დადგნენ და ზღვის სიღრმეში ტელესკოპები დაუყოვნებლივ ჩაუშვეს. მთელი ღამე მორიგეობდნენ ტელესკოპებთან წყალქვეშა მზვერავები. დილით კი გემბანზე ბატისკაფიც გამოჩნდა. ბატისკაფში სამი მეზღვაური ჩაჯდა. მათთან იყო ლაშაც...

ნელა ჩაცურდა სიღრმეში დიდი, მრგვალი ბურთი. წყალი ჯერ გამჭვირვალე იყო და პროჟექტორი არც კი აუნთიათ. მერე თანდათან გამუქდა, ბოლოს მთლად ჩამობნელდა. ლაშამ პროჟექტორი ჩართო. ფართო, ძლიერმა შუქმა გაჰკვეთა მიდამო, დააფრთხო ზღვის მკვიდრნი. სადღაც, შორს, ვეებერთელა ლურჯმა ზვიგენმა უსიამოვნოდ მოიქნია ბოლო და ზანტად გაცურდა, მას რამდენიმე სხვა ზვიგენიც მიჰყვა, შემდეგ სხვა პატარა თევზებმაც იკადრეს გაფანტვა.

ბატისკაფი უკვე სამას მეტრ სიღრმეზე ეშვებოდა. შემდეგ ოთხასზე, მერე ხუთასზე ჩაეშვა.

— ვეშვებით ფსკერზე! — გადასცა ზევით ლაშამ. იმ წუთში ყურმილში ირაკლის გაბზარული ხმა გაისმა:

— ბატისკაფიდან გამოსვლისას იმოქმედეთ ძალზე ფრთხილად.

ბატისკაფში მყოფებმა იგრძნეს, რომ წყალმცენარეების ტყეში დაეშვნენ. ეს იყო რაღაც გრძელღეროწიანი მოწითალო მცენარეთა ტყე. ეს წითელი ფერი მომაჯადოებელ სილამაზეს ჰქმნიდა.



ლაშა და კიდევ ორი მზვერავი ბატისკაფიდან გასასვლელად გაემზადნენ, ჩაიცვეს წნევის საწინააღმდეგო მსუბუქი კოსტუმები, მოიმარჯვეს ლასტები, ზღვის რევოლვერები და ჰარპუნები.

პირველად ლაშა გაძვრა ვიწრო ტრიუმში და სანამ სხვებიც ძალიან პატარა საკანში აღმოჩნდებოდნენ, ხმის გადამცემში ჩასძახა:

— სამივენი ერთად ვივლით. ნოდარ, შენ — მხარმარცხნივ, ლევან შენ — მხარმარჯვნივ.

საკანში სხვებიც შემოძვრნენ და ტრიუმი სწრაფად ჩაიკეტა. შემდეგ ოკეანის წყალმა აავსო საკანი და ლაშა ბატისკაფს მოშორდა. მის გვერდით მეგობრები მისცურავდნენ. ისინი წყალს მიაპობდნენ შუქის გასწვრივ. შუქი კი თანდათან ოკეანის ფსკერისაკენ იხრებოდა და ბოლოს მთლად წითელი ტყის თავზე გაწვა. მზვერავებიც ტყის თავზე მოკალათდნენ და ნელ-ნელა იწყეს წყალმცენარეებს შორის ჩაძრომა. ეს არც თუ ისე ადვილი გამოდგა. მცენარეთა ჯიუტი კენწეროები ადამიანს შიგ ჩაღწევის საშუალებას არ აძლევდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იყავით ფრთხილად, აქ ყოველ წუთს შეიძლება რაღაც მოხდეს. — გაისმა ლაშას ხმა.

— ყველაფერი გასაგებია, — უპასუხა ლევანმა. ახლა მცენარეებიდან მხოლოდ მისი ლასტები მოჩანდა. უეცრად იგი რაღაც რბილ სხეულს შეეხო. ეს სხეული შეირხა და თვალისდახამხამებაში მცენარეთა მტვრევით გაიქროლა ლაშას თვალწინ. ლაშამ ნათლად დაინახა თევზის უზარმაზარი, საშინელი თავი, რომელიც წინგაშვერილი გრძელი შუბით ბოლოვდებოდა.

— ფრთხილად! — ჩასძახა მან ტელეფონში, მაგრამ ლევანი ახლა იმ საშინელი თევზის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდა. — ფრთხილად! — მეორედ გაისმა ლაშას ხმა, — ეს თევზი საოცრად ვერაგია. მას არაჩვეულებრივი ძალა აქვს და თავისი ბასრი შუბით ადამიანის განგმირვა კი არა, დიდი ნავის კედლის განგრევაც შეუძლია.

— ვიცი, — გაისმა საპასუხოდ ლევანის ხმაც, იგი ვერაგი ხმალთევზაა. საკმაოდ ნაცნობი სახე აქვს.

საკმაოდ ღრმად ჩაეფლნენ წყალმცენარეებში. ფსკერი ჯერ კიდევ არ ჩანდა. ბოლოს, როგორც იყო, იგრძნეს შლამიანი ძირიც. ლაშამ და ლევანმა კიდევ უფრო გადაქექეს შლამი. მერე სინჯად აიღეს რამდენიმე ნიმუში.

სანამ ისინი შლამს იღებდნენ, ნოდარი წყალმცენარეების თავზე იწვა და ზევიდან ყარაულობდა, რომ მეგობრების მყუდროება არავის დაერღვია. შემდეგ სამივენი ბატისკაფისაკენ გაცურდნენ. წყალსაწრეტში ერთიმეორის მიყოლებით შეძვრნენ. სარქველი ნელ-ნელა დაიხურა და იქიდან ატმოსფეროს დაწოლით წყალი გარეთ გაირეკა. მზვერავებმა დინჯად გაიძრეს საცურაო კოსტუმები და ახლა მთავარ ტრიუმში გაძვრნენ. იქ მათ ელოდათ მეოთხე მეგობარი და... მსუყე საჭმელი.

— რას იტყვით, როგორ დამთავრდა პირველი გასეირნება? — იკითხა აპარატთან მჯდარმა შოთამ, რომელიც სათვლაგმანო გემზე გადასცემდა, რომ მზვერავები უკვე დაბრუნდნენ პირველი რეისიდან.

— ყველაფერი კარგად აეწყო. ერთ ხანს ხმალთევზამ შეგვაკრთო. მაგრამ თვითონაც შეშინდა და სწრაფად გაგვეცალა.

— დიახ, მეც დავინახე იგი და ჰარპუნი მოვამზადე. მინდოდა მეტყორცნა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, ვაი თუ დაჭრილი გამძვინვარებულიყო და მერე თქვენ დაგრეოდათ.

— ყოველ შემთხვევაში, ახლა მასთან ბრძოლა არ ღირდა, — ჩაილაპარაკა ლაშამ და სინჯები კარადაში შეალაგა. მან ახლა შეამჩნია, რომ ნოდარს ხელში ეკავა ლამინარიის ვეებერთელა კონა.

— ეგ საიდან, სად აკრიფე?

— როდესაც თევზმა გაიქროლა — ძირს ჩამოვარდა. ალბათ იგი ლამინარიების თავზე კოტრიალობდა და უნებლიეთ ააგლიჯა გაქცევისას.

— შესანიშნავია, ჩვენს საუზმეს ეგეც დაამშვენებს, თუმცა მოიტა, ჯერ დავარჩიოთ, — თქვა ლაშამ და ნოდარს ზღვის მწვანილის კონა გამოართვა. შემდეგ გულდაგულ შეუდგა რჩევას.

— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, ეგ რა ოხრობაა? — იკითხა შოთამ ისე, რომ ყურიდან ტელეფონის მილი არ მოუშორებია.

— ეს ზღვის მწვანილია, მეტად ნოყიერი და სასიამოვნო საჭმელი. ლამინარიას ეძახიან. ცოტა გავაშროთ და ნახე მაგის გემოც. — ლაშამ დარჩეული მწვანილი თეფშზე დაალაგა.

როგორც კი ბატისკაფი ოკეანის ზედაპირზე გამოჩნდა, იმ წუთში გაისმა ვაშას ძახილი. ეკიპაჟის ოთხივე წევრი აუჩქარებლივ გადმოვიდა ბატისკაფიდან და ექსპედიციის უფროსს მოახსენეს, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

— როგორ მოგწონთ საზღვაო კოსტუმები? — იკითხა ბორის პანოვმა.

— ჩინებულია, — თქვა ლაშამ, — მოქნილია, მსუბუქია და წნევასაც კარგად უძლებს.

— შემდეგ ჩაყვინთვაზე მეც წამოვალ, — უთხრა ლაშას შორენამ.

ლაშამ მხოლოდ თავი დაუქნია.

— ირაკლი უკვე თანახმაა. ახლა საქმე შენზეა, — შორენა ალერსით უღიმოდა მეუღლეს.

ლაშას არაფერი უთქვამს.

ფსკერიდან ამოტანილი სინჯები წამსვე გადაეცა ლაბორატორიას, შეუდგნენ მის შესწავლას. ლაბორატორიას გეოლოგი თამზა ფილფანი ხელმძღვანელობდა. დილით, ჯერ მზე არც კი ამოწვერილიყო ატლანტიკაზე, როცა იგი ირაკლის კაიუტას მიადგა.

— იპოვეთ რაიმე?

— არაფერი, ვულკანური მოქმედების კვალიც არაა. აქ მხოლოდ ოკეანის ბატონობის ილუსტრაციაა. შლამი საკმაოდ რადიაციულია. სავარაუდოა, რომ ახლოს ურანის მძლავრი საბადო იყოს, — განაგრძობდა თამზა.

— ალბათ მათ მიერ მოტანილ ლამინარიასაც ექნება რადიაციის გარკვეული დოზა.

— დიახ, ეს ეჭვს არ იწვევდა, ჩვენ მაინც გავსინჯეთ ქიმიურ ლაბორატორიაში და ჩვენი მოსაზრება დადასტურდა. დღეს ბატისკაფელებს მოუწევთ რადიაციის საწინააღმდეგო აბების მიღება. საერთოდ, უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. აქ შეიძლება მომაკვდინებელი დოზით სავსე თევზებიც შეგვხვდეს. მე მზარეულსაც გავაფრთხილებ ამის თაობაზე.

— ყველა ზომა მიიღე. რადიაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ყველა საშუალება გვაქვს.

თამზას შემდეგ ლაშა ესაუბრა ირაკლის.

— შენ ცოტა წინდაუხედავად მოიქეცი, მეგობარო. ასე ლამინარიას ჭამა სად გაგონილა. ახლა შენ და შენს მეგობრებს მიღებული გაქვთ რადიაციის გარკვეული დოზა. დღესვე ოთხივენი გაივლით სამედიცინო შემოწმებას, ჩაგიტარდებათ სათანადო მკურნალობა.

კაიუტაში შორენა, იაროსლავი, ბორისი და ხუანი შემოვიდნენ. ირაკლიმ შემოსულებს ოკეანის ფსკერიდან აღებული პირველი სინჯების შედეგები გააცნო.

— საყურადღებოა. ალბათ სხვა მიდამოებში ვმუშაობთ, ის კუნძული კი, ვინ იცის, სად მდებარეობს, — თქვა ბორისმა.

— ამხანაგი პანოვი მართალია, ჩვენს ქვევით არავითარი ნიშანი არაა, რომ ის კუნძული აქ მდებარეობდა. ეს არ ცვლის იბერიაში შედგენილ გეგმას, ძიებას გავაგრძელებთ აქედან მოყოლებული, ვიდრე კანარის კუნძულების ბოლომდე. არ შეიძლება ამ მიდამოებში რაიმე კვალს არ წავაწყდეთ. მე ამაში იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარება. — განაცხადა ირაკლიმ.

— თქვენ მართალი ხართ, ამხანაგო ირაკლი, — ჩამოართვა სიტყვა ბორისმა, — მაგრამ ახლა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან წყალქვეშა გემებმა. მათ შეუძლიათ ჩაეშვნენ დიდ სიღრმეებზე და აწარმოონ ფოტოგადაღებები. ამ მასალების დამუშავება კი უეჭველად ბევრ რაიმეს გვეტყვის.

— რასაკვირველია, — განაცხადა ახლა იოსელიანმა. — სანამ წყალქვეშელები გადაღებებს აწარმოებენ, მანამ საფლაგმანო გემი მიადგეს სანტ-იაგოს და იქ ამუშაოს თავისი ლაბორატორიები. საფლაგმანო გემთან სისტემატურ კავშირს განახორციელებს ყველა წყალქვეშა გემი.

კაიუტაში ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ირაკლიმ თქვა:

— მივიღეთ ეს გეგმა, საფლაგმანო წავა სანტ-იაგოსაკენ. საფლაგმანოზე დარჩება ყველა ის, ვინც ამჟამად აქაა. წყალქვეშა გემებს განკარგულება მიეცემათ — დაიწყონ გადაღებები.

პირველად ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა იაროსლავმა.

— საჭირო იქნება წყალქვეშელთა ეკიპაჟების გაძლიერება გამოცდილი ადამიანებით, ისეთებით, როგორიც ბორის პანოვი, მე და კიდევ სხვებია.

— თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ, ამხანაგო იაროსლავ. — სიტყვა შეაწყვეტინა იოსელიანს ლონდარიძემ, — წყალქვეშა გემები მხოლოდ გადაღებებზე იმუშავებენ. ისინი გემებიდან მზვერავებს არ გაგზავნიან ფსკერზე. ასე რომ, ჯერჯერობით არაფერი საჭიროა გამოცდილი მყვინთავები, ამ ეტაპზე საქმეს სხვებიც გაწვდებიან. ამხანაგო იოსელიანო, გამოიძახე წყალქვეშა გემების კაპიტნები და გააცანი მათ ამოცანები. საფლაგმანო გემი წავა სანტ-იაგოს დასავლეთ ნაპირებისაკენ.

— როგორც მოგეხსენებათ, სანტ-იაგოს დასავლეთის ნაპირები დაუსახლებელია, იქნებ აჯობებდა, რომელიმე ნავსადგურში შევსულიყავით? — იკითხა ხუანმა.

— მით უმეტეს, ახლა ჩვენთვის დაუსახლებელი ადგილები ჯობია. ნავსადგურებში ცნობისმოყვარე ხალხი არ მოგვასვენებს. გემზე სულ სტუმარ-მასპინძლობა გვექნება. ეს კი მოგვაცდენს დიდი სამუშაოებიდან. ამას გარდა, დასავლეთ სანაპიროდან უფრო ახლოს ვიქნებით ჩვენს წყალქვეშელებთან.

— სრული ჭეშმარიტებაა. მე არ მიფიქრია ამ მიზეზებზე, ამიტომ ჩემი წინადადება უკან მიმაქვს, — წამოიძახა ხუანმა.

დილით, საფლაგმანო გემზე ფოტოლაბორატორიაში უკვე ეწყო უამრავი გამჟღავნებული სურათი. ირაკლიმ სურათები სწრაფად გაანაწილა და შეუდგნენ დათვალიერებას.

ყოველ სურათს დიდი გულმოდგინებით სინჯავდნენ. ეს ფრიად დამღლელი საქმიანობა შუაღამემდე გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიის ხუთივე ილუმინატორი ღია იყო და მძლავრი ვენტილატორებიც განუწყვეტლივ მუშაობდნენ, ოთახი მაინც პაპიროსის ბოლით გაივსო.

შორენამ რამდენჯერმე ურჩია მამაკაცებს, რიგ-რიგობით მოსწიეთო, მაგრამ ამაოდ.

— ჩემთან არაფერია, — თქვა ყველაზე ადრე დავით მესხმა.

— არც ჩემთან, — განაცხადა ლაშამ.

— მაშ, პირველი ძიებები უშედეგოა, — ირაკლი სავარძლიდან წამოდგა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ მეგობრებო, ამ სურათებში ზოგი რამ მაეჭვებს. აი, თუნდაც ეს კონუსისებური მთები. ხომ არაა იგი ვულკანური, ანდა ძველი ქალაქის ნანგრევებს ხომ არ მალავს თავის გულში! თქვენ თვითონ განსაჯეთ, — თქვა ხუანმა და ცხრა მოზრდილი სურათი ლაშას და ირაკლის მიაწოდა.



გივი ფრთხილად ამოვიდა გემბანზე, ფრთხილადვე გაიარა, მაგრამ მაინც შეეჩეხა მზარეულ ვლასის.

— საით, ძვირფასო? — ჰკითხა მზარეულმა და კეთილად გაუღიმა.

ეს ვლასი მეტად გულუბრყვილო კაცი გახლდათ. რომ გეთქვათ, ატლანტის ოკეანის ფსკერზე ძველისძველი რესტორანი იპოვესო, უეჭველად დაგიჯერებდათ. ეს გივიმაც კარგად იცოდა და რიხიანად უპასუხა:

— დავალებაზე.

ვლასიმ ღაჟღაჟა ლოყები გამობერა. ამით კმაყოფილება გამოხატა, რომ გივისაც ანდეს სერიოზული საქმე.

გივი თოკით ჩაეშვა გემბანიდან. ვლასი კი დერეფნისაკენ დაუყვა. გზად შორენას შეეჩეხა.

— როგორ გამეხარდა, რომ იმ ბიჭისთვისაც მიგიციათ საქმე, ძვირფასო შორენა, — უთხრა შორენას ვლასიმ.

— ვინ ბიჭისათვის, ვლასი?! — შორენამ კოპები შეიკრა.

— ჩვენი გივისათვის. სულ ახლახან ჩაეშვა ოკეანეში. ისე, მარტო კი არ უნდა გაგეშვათ.

ალღოიანმა ქალმა სწრაფად განსაზღვრა ყველაფერი.

— რატომ მარტო, მეც მასთან ერთად მივდივარ.

შორენამ სწრაფად აისხა აქვალანგი და პირდაპირ გემბანიდან ისკუპა. ჭიშკრისაკენ გაცურა. გზაში ინანა, რომ უიარაღოდ მიდიოდა. მიქცევა უკვე დაწყებული იყო და სწრაფად მიცურავდა. აჩუხჩუხებული წყალი ჭიშკრისაკენ მიაქანებდა.

გივიმ, გეზი იმთავითვე ჭიშკრისაკენ აიღო. მოქცევა ის-ის იყო იწყებოდა. ცურვა არ უძნელდებოდა.

ჭიშკართან სათადარიგო ბალიშები მაგრად დაიმაგრა ზურგზე. ამ საქმისათვის ათი წუთი მაინც დასჭირდა და, ჟანგბადი რომ დაეზოგა, ზედაპირზე ამოცურდა.

წინ გამოჩნდა უსასრულო ოკეანე, ყალყზე ამდგარი მრისხანე ტალღები. ერთმა დიდმა ტალღამ ზევით შეისროლა და დაინახა ოკეანიდან ამომავალი ვეებერთელა რვაფეხა, თავისი საშინელი გიგანტური ცაცებით.

გივის ტანში გაცრა.

განათებული საფლაგმანო გემი ამაყად იდგა პატარა ყურეში. გივი შიშმა გაკენწლა, გემიდან ორი კილომეტრი მაინც აშორებდა.

მეორე, ძლიერმა ტალღამ კვლავ შეისროლა ჰაერში და შემდეგ ოკეანის სიღრმისაკენ გააქანა.

გივი ტალღიდან დაეშვა და, როგორც იქნა, ცოტა სული მოითქვა. ბალიშები უკვე დამაგრებული ჰქონდა და მესამე მრისხანე ტალღის წინ ჩაყვინთა. წყალი თანდათან მუქდებოდა და გაგნება ჭირდა.

გივიმ ალღოთი გასცურა. როცა ქედების ჩრდილს გაცდა, გაგნება უფრო გაადვილდა. ახლა ის კარგად ხედავდა მარჯნის გრიფებს, ბრაგებს, თევზებს. წყალი სწრაფად მიაქანებდა სულ წინ და წინ.

უეცრად გვერდიდან რაღაც ხმაური მოესმა. ხელი რევოლვერისაკენ გააქნა და მიიხედა.

ყველაფერი წარმოუდგენელი სისწრაფით მოხდა, წყალმა ჩაფხუტით მარჯნის ბრაგს მიანარცხა. დარეტიანდა და ფსკერისაკენ დაქანდა იქ წყალმცენარეებში ჩაეფლო.

აღარ ახსოვს რამდენ ხანს იყო ასე. როგორც კი გონს მოეგო, ისევ დაიქნია ლასტები და ამოცურდა. იმავ დროს ზევიდან რაღაც გრძელი, ადამიანის მაგვარი ჩრდილი დაეცა. გივი შემოტრიალდა, მაგრამ უკან ვერაფერი ვერ შეამჩნია.

„შიშით მემართება“, — გაიფიქრა მან, ოკეანის ზედაპირზე ამოცურდა და იმწამსვე შეჰყვირა.

მის წინ იყო უზარმაზარი ურჩხული, ცაცები გამოეშვირა და საცაა შეეხებოდა.

გივიმ ღრმად ჩაყვინთა და რევოლვერი იძრო. სამჯერ ბრმად გაისროლა. თითოეული გასროლის შემდეგ მტვრევის ხმა ესმოდა. ტანზე ხვდებოდა რაღაც ნამსხვრევები.

წყალში ამოტრიალდა. ურჩხული კვლავ წინანდებურად იდგა და ცაცებს იშვერდა. მთელი მისი სხეული ჯადოქრულად ელავდა.

გივიმ რევოლვერი ისევ ბუდეში ჩადო და სწრაფად მიცურდა საცეცებთან. თან სახეზე ღიმილი არ მოშორებია. ხელის ერთი მოსმით ყველაზე დიდ ცაცს მოეჭიდო, ძლივს აცოცდა ზედ და ზურგით გადაწვა. მერე ხოხვით აჰყვა ზევით, სულ წვერზე. ზედ საწოვარზე დაჯდა და გემისაკენ გაიხედა. გაჩირაღდნებული გემი კვლავ თვლემდა.

ოკეანის მოქცევას ალბათ სამი-ოთხი საათი მაინც დაჰგვიანდებოდა, გივის კი მოქცევამდე არსად არ ეჩქარებოდა და ცის თვალიერებას შეუდგა, ამოწმებდა, თუ რამდენად ზუსტად იცოდა ვარსკვლავების განლაგება.

ეს საქმე ძლიერ მოეწონა და ისე დაიწყო მოქცევა, რომ ვერც კი შეამჩნია. ბოლოს, ტალღების დგაფუნმა მაინც გამოაფხიზლა და წყალში ისკუპა, რომელიღაც დიდ თევზს ძილი დაუფრთხო, მაგრამ ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, მიჰყვა ტალღებს, ჭიშკარს მიადგა და ზემოდან კვლავ დაეცა დიდი ჩრდილი. ეს ჩრდილი ადამიანს მიამგვანა. მარჯნის გრიფთან მიცურდა და იქ ჩასაფრდა. დიდხანს ელოდა, ელოდა, მაგრამ აჩრდილი აღარ გამოჩენილა.

„დალახვროს ეშმაკმა, კვლავ მოჩვენებაა“, — გაიფიქრა მან.



გივიმ ნელა განაგრძო გზა.

აჩრდილიც მიჰყვა.

— ჰოი, ეს ხომ ნამდვილად ადამიანია, — დაასკვნა გივიმ. იგი შემობრუნდა და გრიფებისაკენ გაცურდა. დიდხანს ათვალიერებდა ყოველივე საეჭვოს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მოსწყინდა და გემისაკენ გაცურდა.

თოკი ისევ თავის ადგილზე დახვდა, დაეკიდა, ზევით აჰყვა. გემბანი ძალზე ფრთხილად გაიარა და თავის კაიუტისაკენ გასწია. ეკიპაჟს ღრმა ძილით ეძინა და არავის არაფერი გაუგია.

იმავ დროს გემთან მეორე ადამიანიც მიცურდა. მან მეორე მხრიდან შემოუარა გემს და ღუზის ჯაჭვს მოეკიდა. ეს შორენა იყო.

რადისტი ჰიაბერ ბერიძე ერთობ ძილის მოყვარული კაცი გახლდათ. ადრე ანტარქტიდაში მუშაობდა. საქმეში, ღმერთმა მოგცეთ, დაუზარელი კაცი იყო, მაგრამ თუკი ძილით არაფერი დაშავდებოდა, მაშინვე გამოერთვებოდა ცხოვრებას. ანტარქტიდაში ძილაძეს ეძახდნენ. ეს სახელი დიდხანს ახსოვდათ მეგობრებს. იმ დღესაც, სანამ ფოტოლაბორატორიაში შუქი ენთო და იქიდან ირაკლის ბანიც ისმოდა, ჰიაბერიც ფხიზლობდა, მაგრამ როცა ლაბორატორიაში შუქი ჩააქრეს და ყველამ დასაძინებლად გაუტია, ისიც სავარძელზე გადაწვა და დაიძინა. თუმცა რა იყო ამაში ცუდი, ტრადიციულად საფლაგმანო გემს ღამით არ აწუხებდნენ. ზუსტად ღამით თერთმეტ საათზე ღებულობდა ანგარიშს წყალქვეშა ნავებიდან. შემდეგ რადისტები ერთმანეთს „ძილინებისას" უსურვებდნენ და მუშაობაც თავდებოდა. ეს ტრადიცია ჰიაბერს უფლებას აძლევდა ხანდახან თვალი წაეტყუებინა, რასაკვირველია, ტრადიცია — ტრადიციაა და იგი ჰიაბერს იმ ღამითაც არ დაურღვევია.

შორენამ სწორედ ამ რადისტის ოთახთან გაიარა. უცებ ტელეფონის ზარის წკრიალი მოესმა.

შორენა არც კი დაფიქრებულა, ისე შევარდა რადისტის ოთახში. ჰიაბერი გულიანად ხვრინავდა. როგორც კი შორენამ გამომძახებელს სიგნალი დაუბრუნა, იმწამსვე გაისმა საპასუხო წრიპინა ხმა:

— მე ოტროველავ, შენა... — იმწამსვე ეკრანიც აინთო და მასზე ახალგაზრდა კაცის შეშინებული სახე გამოისახა. მან ლუღლუღით განაგრძო:

— უკაცრავად, ამხანაგო შორენა. მე მეგონა საქმე მაგ ძილისგუდასთან მქონდა.

— რაშია საქმე? — იკითხა შორენამ.

— გააღვიძეთ ამხანაგი ლონდარიძე. ჩვენ მეტად სერიოზული ცნობა უნდა გადმოგცეთ.

შორენას არაფერი აღარ უთქვამს, იმწამსვე ირაკლის კაიუტას მიაშურა.

— რაშია საქმე, ხომ არ გიკითხავს? — წამოვარდა ფაციფუცით ლონდარიძე.

— არა, არ მიკითხავს.

— დალახვროს ეშმაკმა, ხომ არ იპოვეს ნეტავ. ჰა, ხომ იქნება სეირი, რომ კუნძული ნაპოვნი იყოს.

როცა დერეფანში გამოვიდნენ, ირაკლიმ მაშინ მიაქცია ყურადღება შორენას აწეწილ, სველ თმებს. ეჭვით ჩაათვალიერა:

— ეგ რა არის ქალბატონო?

— რაზე მეკითხები, ირაკლი?

— იმაზე, რომ შენ მთლად სველი ხარ.

— დამცხა, არ დამეძინა და აბაზანას მივაშურე.

— წუხელაც აბაზანით ხომ არ ისიამოვნეთ, ლაბორატორიაში, რომ მიგვატოვეთ. — გადავიდა თქვენობით ლაპარაკზე ირაკლი.

— დიახ, წუხელაც ეგრე გახლდათ. ხანდახან ქალს შეღავათი უნდა მისცე.

ირაკლი პულტს მიუჯდა და იმწამსვე გაისმა რადისტის ხმა.

— მოგახსენებთ გემ „გამარჯვებას" რადისტი. ჩვენს ტელეეკრანზე ვხედავთ ოკეანის ფსკერზე ჩაძირულ წყალქვეშა ნავს. ნავი წინა კორპუსითაა ჩაფლული წყალქვეშა ტყეში. ნებას დაგვრთავთ თუ არა, ბატისკაფით ჩავეშვათ ნავთან.

ირაკლი ერთხანს ფიქრობდა, შემდეგ გაისმა მისი ბუბუნი:

— დაუყოვნებლივ ჩაეშვით, შედეგი უმალვე მომახსენეთ!

და მართლაც ჩაეშვა ბატისკაფი „გამარჯვებადან". წყალქვეშა ხეების თავზე დასხდნენ. წყალსასრუტიდან სამი წყალქვეშელი გამოძვრა და გრძელი, შავი მასისაკენ გაემართა. ეს უმოძრაო მასა ბატისკაფიდან გაშვებულ შუქზე ძალიან ჰგავდა ჰავაის სიგარას. სიგარის წინა მხარე ღრმად იყო ჩამხობილი მწვანე ტყეში და შლამში, უკანა კორპუსი კი უზარმაზარ ლოდზე იჯდა.

წყალქვეშელებმა ყოველმხრივ შემოუარეს, გულდაგულ გასინჯეს ყველაფერი და მერე მის გემბანს მიადგნენ. ჩასასვლელი სარქველი მაგრად იყო დაკეტილი. წყალქვეშელებმა სარქველთან ასაფეთქებელი მასალა დაალაგეს. ამ სასიკვდილო მანქანასთან მავთულის ერთი ბოლო დაამაგრეს, მეორე თვითონ გაიტაცეს და მყუდრო ადგილი იპოვეს.

გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. შავი, გრძელი სილუეტი ერთბაშად მაღლა ავარდა. მერე ისევ ძირს დაეხარცხა და გადატრიალდა.

წყალქვეშელებმა ცოტა მოიცადეს და მერე ნავისაკენ გაცურდნენ. წინ მიმავალი ერთბაშად შეჩერდა, ხელები ზევით აღაპყრო და ისე დაიღრიალა, რომ ორმა მისმა ამხანაგმა კინაღამ ჩაფხუტი მოიძრო.

— შეხედეთ, ხალხნო, შეხედეთ, — ეს ხომ საოცარია... სურები, სურები მოცურავენ ზევით...

# კაპიტანი კარპოვი პატაკობს...

„ატლანტიკის ექსპედიციის უფროსს, პროფესორ ირაკლი ლონდარიძეს! თქვენი განკარგულების თანახმად ოთხი ჩვენი მეზღვაური — ვაჟა ბედოიძე, იური პიშკოვი, მურთაზ ქალდანი და ბეგი ბარათელი ჩაეშვნენ ოკეანის ფსკერზე, წყალქვეშა ნავის დასათვალიერებლად.

ნავი მჭიდროდ დაგმანული აღმოჩნდა. იგი იწვა ბოლოთი დიდ ლოდზე, ხოლო ცხვირით — ტყეში. დახრილობა 50 გრადუსს უდრიდა სიღრმე 735-მეტრს. წყალქვეშელების ცდა, გაეხსნათ სარქველი, ამაო აღმოჩნდა. ბოლოს, იძულებული გახდნენ სარქველი აეფეთქებინათ. აფეთქების შედეგად ნავი გადმოვარდა ლოდიდან და გვერდზე გადაბრუნდა. ტყეში გამოჩნდა ვეებერთელა ხრამი. ხრამიდან სამი სურა ამოცურდა — ზუსტად ისეთი, როგორიც რიო დე-ჟანეიროში იპოვეს. რასაკვირველია, სურები მეზღვაურებმა დაიჭირეს და გიგზავნით გაუხსნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხრამის ფსკერზე** მეზღვაურებმა იპოვეს უძველესი ხომალდის ნარჩენები: რკინის ნაწილები, სალტეები, მინის რამდენიმე ჭურჭელი. ყოველივე ამას წარმოგიდგენთ მოხსენებით ზარათთან ერთად.

ხრამის სიღრმე ოთხი მეტრი აღმოჩნდა. ვვარაუდობდით, რომ ჩვენ ვიპოვეთ ჩაძირული კუნძული. ოკეანის ფსკერზე გავგზავნეთ დამატებითი ჯგუფი თქვენს მიერ გამოგზავნილი გეოლოგის დავით მესხის მეთაურობით. ამ ჯგუფმა იმუშავა ზუსტად რვა საათი, გადათხარეს ნავთან ახლოს მდებარე ყველა საეჭვო ადგილი, მაგრამ დამატებითი რაიმე საყურადღებო ნივთი არ აღმოჩენილა. ამხანაგებმა ამაოდ ჩათვალეს შემდეგი ძიება და მუშაობა წყალქვეშა ნავთან შეწყდა.

რაც შეეხება წყალქვეშა ნავს...

გაიხსენეთ, ამხანაგო პროფესორო, მიმდინარე წლის 21 მარტის საშინელი ღამე. ამ დღეს მსოფლიო შესძრა ატლანტიის ოკეანიდან მოსულმა სიგნალებმა „სოს", „სოს", ამ სიგნალებს ღებულობდა მსოფლიოს ყველა სადგური 13 წუთის განმავლობაში და შემდეგ დადუმდა (სიგნალის გადაცემა დაიწყო 11 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით).

თქვენ ალბათ ყველაფერი აღიდგინეთ მეხსიერებაში, პროფესორო! მე მოგახსენებთ ინგლისელების ატომურ ნავზე. იმ ნავს „რობინ ჰუდი" ერქვა. ჰოდა, ეს „რობინ ჰუდი" აღმოჩნდა ის ვაჟბატონი, რომელიც ზემოდან დაეცა საუკუნეების განმავლობაში ოკეანის ფსკერზე ჩაძირული კუნძულის მცხოვრებთა გემს და ტყვეობიდან განთავისუფლდა ლიანებში გახვეული სურები. ვჩქარობ მოგილოცოთ, ძვირფასო პროფესორო. თქვენი მოსაზრებანი სწორი გამოდგა.

ჩვენი მამაცი მეზღვაურები აფეთქებული სარქველიდან შევიდნენ წყალქვეშა ნავში. მათ იქ დახვდათ განუმეორებელი ტანჯვის ამსახველი სურათი. ოცდათორმეტი მკვდარი ადამიანი. რაიმე დღიური არ გვინახავს. მხოლოდ ვნახეთ ბლოკნოტში კაპიტნის პატარა, მაგრამ შესანიშნავი მინაწერი: „ბოროტო ოკეანევ, ზვარაკად ჩვენც მიგვიღე, არ იფიქრო გვძულდე, მაინც გვიყვარხარ!.."

ეს იყო და ეს.

ხვალ ჩვენ ბურთებს დავუბამთ ნავს და ზევით ამოვისვრით. გთხოვთ დაუკავშირდეთ ლონდონს, — ხვალ, საღამოს 9 საათისათვის ნავი წაიყვანონ.

წყალქვეშა ნავ „გამარჯვებას" კაპიტანი

ვიტალი კარპოვი.

ჩვენი გემი სალამს უთვლის საფლავგმანო ხომალდს. ჰყვაოდე შენ, ჩვენო სამშობლოვ!"







ხ. აბოვიანი: კითხვა და წერა, ძვირფასო ბავშვებო, სხვა არა არის რა, თუ არა ლაპარაკი ასოების საშუალებით. დაიდეთ წმინდა წესად, რომ არც ერთი ასო, არც ერთი სიტყვა არ იკითხოთ ისე, თუ კარგად არ გაიგეთ ისინი.

ი. გლუნჩლი: ენა — ავლადიდებაა, რომელიც ყოველივეზე მეტად ეკუთვნის ხალხს, ყოველივეზე მეტადაა გამომხატველი მისი ხასიათისა, ყოველივეზე მეტადაა ენერგიულ კავშირში მის საერთო კულტურასთან.

ი. გოგებაშვილი: ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოებნი ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა.

ფრ. ენგელსი: ჯერ შრომა, ხოლო შემდგომ და მასთან ერთად ენა — აი, ის ორი უმთავრესი სტიმული, რომელთა ზეგავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან ადამიანის ტვინად იქცა, რომელიც, მიუხედავად მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსებისა, ბევრად აღემატება მას სიდიდითა და სრულქმნილობით.

კ. უშინსკი: ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერი და მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისა და იგივეა ხალხის ყველაზე დიდი მოძღვარი.

ვაჟა-ფშაველა: ხალხი, ერი — დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს.

ა. წერეთელი: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების". ენა გრძნობა-გონების გზა და ხიდია და სიტყვიერება მისი უტყუარი სახე... გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკვლიე და გაარკვიე მისი ენა.

ი. ჭავჭავაძე: ...არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული — ენაა.

ვ. ჰუმბოლტი: ხალხის სულიერი თავისებურებანი და ენის აგებულება ისე ღრმად არიან ერთმანეთს შერწყმულნი, რომ თუ ერთ მათგანს იცნობ, მეორესაც გამოიცნობ... ხალხის ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ევგენი მაჭავარიანი

# ქართული ოპერის სათავეებთან

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მუსიკას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი. მაგრამ ასეთი დიდი აღმავლობა, ფართო აღიარება, არნახული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც მუსიკალურ ხელოვნებას ახლა ენიჭება — ისტორიას არ ახსოვს.

ქართული მუსიკალური კულტურა დღეს წარმოდგენილია არაერთი თაობის კომპოზიტორთა მდიდარი შემოქმედებით, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ შემსრულებლებითა და კოლექტივებით, მუსიკალური სწავლების ფართოდ გაშლილი ქსელით; მუსიკალურ ხელოვნებაში დღეს, როგორც არასდროს, აისახება ჩვენი ცხოვრების სინამდვილე, მისი მრავალფეროვნება. თანამედროვე ზოგადსაკაცობრიო მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა ფონზე ქართული მუსიკა ყურადღებას იპყრობს არა მარტო ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით, თვითმყოფობით, არამედ ჟანრთა მრავალფეროვნებით, კომპოზიტორების მიერ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებისადმი ინტერესით, ეროვნულისა და საკაცობრიოს შერწყმით; დღეს სრულიად ბუნებრივად ჟღერს „ქართული ოპერა", „ქართული სიმფონია", „ქართული ბალეტი", „ქართული კვარტეტი" და ა. შ. და ეს მაშინ, როცა პირველი ნაბიჯები ამ ისტორიულ გზაზე სულ რამდენიმე ათეული წლის წინ გადაიდგა. ვამბობთ „ახალ ისტორიულ გზას", თუმცა საქართველოში ადრეც, შორეულ წარსულშივე იყო ურთულესი ხალხური მუსიკალური შემოქმედებაც და საკმაოდ განვითარებული პროფესიული მუსიკაც. მაგრამ, გარკვეული პირობების გამო, ეს უკანასკნელი საუკუნეთა მანძილზე ძირითადად მხოლოდ საეკლესიო მუსიკით, „ხმის დამდებელთა" მოღვაწეობით განისაზღვრებოდა. ახალი ფორმები, ახლებური აზროვნება აუცილებელი გახდა XIX საუკუნეში, როდესაც მზარდმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის ყველა დარგის განვითარებას, როდესაც, კერძოდ, შესაძლებელი გახდა ქართული მუსიკის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების განვითარება, ევროპული პროფესიული მუსიკის ფორმების გაცნობა და შემოქმედებითი ათვისება.

ეს ამოცანა მეტად რთული იყო და, თუ მივმართეთ არც თუ ისე შორეულ წარსულს, კვლავ და კვლავ გაგვახსენდება იმ დიდ მესვეურთა სახელები, რომელთა შემოქმედებითმა წვამ და გულმოდგინე პატრიოტულმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე, ქართულ მუსიკას.

ეს პერიოდი მრავალმხრივი ძიებებით დაიწყო. ჩაწერის და შესწავლის საგნად იქცა ქართული ხალხური სიმღერა, უკვე 60-იან წლებში გამოვიდა ხალხური სიმღერების პირველი კრებულები,— ეროვნული ჰანგების დამუშავების პირველი ცდები.

ცნობილმა ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ ლადო აღნიაშვილმა ჩამოაყალიბა პირველი გუნდი, რომელმაც მთელი საქართველო მოიარა, ჩაწერა და შეასრულა უამრავი ხალხური სიმღერა. საინტერესოა, რომ მშობლიური მუსიკის მოყვარულთა ეს კოლექტივი პირველ სკოლად იქცა მრავალი ახალგაზრდისათვის, — სწორედ აღნიაშვილის გუნდში პირველად ეზიარნენ ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ფილიმონ ქორიძე, ზაქარია ჩხიკვაძე...

ახალგაზრდა მუსიკოსთა პროფესიული აღზრდის საქმეში ფასდაუდებელია მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებულის ხარლამპი სავანელის ინიციატივით პირველი მუსიკალური სასწავლებლის დაარსება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თბილისში საოპერო თეატრის გახსნა, რომელმაც არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. თბილისში მუსიკალური ცხოვრება სულ უფრო აქტიური ხდება — იდგმება საუკეთესო საოპერო სპექტაკლები, იმართება კონცერტები, — აქ ჩამოდიან გამოჩენილი კომპოზიტორები და შემსრულებლები, მათ შორის — ჩაიკოვსკი, ბალაკირევი, რუბინშტეინი... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოსულ რუს კომპოზიტორებს იტაცებდა ჩვენი ხალხური მუსიკის განუმეორებელი სილამაზე. სწორედ მათს შემოქმედებაში პირველად აჟღერდა არაერთი ქართული მელოდია. თბილისში გაიხსნა რუსული მუსიკალური საზოგადოების ფილიალი, დაარსდა ქართული ფილარმონია. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ერთდროულად მოღვაწეობდა ორი ან სამი საოპერო დასი.

აი, რა საინტერესო იყო ახალი ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნაბიჯების ხანა.

პირველი ნაწარმოებები — რომანსები ან საგუნდო სიმღერები ხალხური მელოდიების უბრალო დამუშავების ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმიტრი არაყიშვილი



ზაქარია ფალიაშვილი



მელიტონ ბალანჩივაძე



ლადო აღნიაშვილი

ადაგზე აღმოცენდა. ეს გასაგებია, ვინაიდან აუცილებელი იყო თანმიმდევრობა — ხალხურის ჩაწერა, შესწავლა, მისი ბუნების ათვისება, მელოდიის დამუშავება, მაშინ ჯერ კიდევ უცხო, ევროპულ საკრავებზე — ფორტეპიანოსა თუ ვიოლინოზე გადატანა.

მხოლოდ რჩეულ ერთეულებს ხვდათ წილად ამ დიდი ამოცანის გადაჭრა — ღრმად ეროვნული და მაღალმხატვრული მუსიკის შექმნა. თითოეულ მათგანს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი — რა ესაჭიროებოდა ეროვნულ მუსიკალურ კულტურას, რა გზით უნდა განვითარებულიყო იგი.

ვოკალური მუსიკა, მეტადრე კი საგუნდო მრავალხმიანობა, მუსიკის ის დარგი იყო, რომელშიც ქართველმა ერმა ფრიად თვითმყოფადად გამოამჟღავნა თავისი სულიერი სამყარო.

თითქმის ყველა კომპოზიტორი, რომელსაც იმ წლებში მოუხდა შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლა, სწორედ ვოკალურ მუსიკაში იყო გაწაფული.

პირველი მნიშვნელოვანი წარმატებანი სხვადასხვა ფორმებში იყო მიღწეული (რომანსი, საგუნდო მუსიკა, ოპერა...). მაგრამ საინტერესო ის არის, რომ, როგორც წესი, ყველა კომპოზიტორმა რომანსის ჟანრით დაიწყო მოღვაწეობა.

ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ნიადაგზეა აღმოცენებული მელიტონ ბალანჩივაძისა და დიმიტრი არაყიშვილის სარომანსო ლირიკა.

გრძნობის გადმოცემის უშუალობითა და ფაქიზი მელოდიურობით გვხიბლავენ დ. არაყიშვილის „ვარსკვლავიანსა ღამეს", „მე შენ გელი", მ. ბალანჩივაძის „ოდესაც გიცქერ", „შენ გეტრფი მარად". რომანსს, სასიმღერო ლირიკას ვერც ზ. ფალიაშვილმა აუარა გვერდი მის ადრინდელ რომანსებში თვალნათლივ ჩანს კავშირი მომავალი ოპერების მუსიკალურ ენასთან.

საგუნდო მუსიკის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა, სრულიად ბუნებრივად, დიდი ინტერესი გამოიწვიეს ამ ჟანრისადმი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკო სულხანიშვილის შემოქმედება (1871-1919). მისმა სულ რამდენიმე ნაწარმოებმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ამ მცირედშიც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ღრმად ჩაწვდა ეს უაღრესად თვითმყოფადი კომპოზიტორი ამ რთულ ჟანრს, რა მრავალფეროვნებით აამეტყველა საგუნდო მუსიკაში ერის სულისკვეთება. „სამშობლო ხევსურისა", „გუთნური", „მესტვირული" და სხვ. საგუნდო პიესების ნამდვილი კლასიკური ნიმუშებია.

მაგრამ ნამდვილ ეროვნულ ამოცანას საოპერო ჟანრის განვითარება წარმოად-




## სპილოები... ციმბირში

ანგარიდას, საიდუმლოებით მოცულ ამ უძველეს მიწას, მილიონი წლების წინ ეკავა აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორია. იმ დროს ამ მხარეში თბილი ჰავა იყო და უამრავი სპილო და მარტორქა ბინადრობდა, ხარობდა მუხა და ურთხელი.

შემდგომში ჰავა თანდათანობით სუსხიანი გახდა. ამის გამო, ცხოველებმა და მცენარეებმა იწყეს გადაადგილება სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ.

ამ ცოტა ხნის წინ, სუჩანის მახლობლად, გამოქვაბულში, საინტერესო ბუნებრივი პალეონტოლოგიური მუზეუმი აღმოჩნდა. აქ მშვენივრად იყო შემონახული აქლემის, მარტორქის, სპილოს, გარეული ცხენის, მამონტის, აფთრისა და სხვა ტროპიკული ქვეყნების ცხოველთა ძვლები.

ანგარიდის საიდუმლოებათა შესწავლა შუქს მოჰფენს მთელი დედამიწის ცხოველთა სამყაროს ისტორიას.

## 250 ათასი მზე

ცნობილია, რომ სამყაროში მხოლოდ ჩვენი მზე როდი ანათებს. ამერიკის ერთ-ერთი ობსერვატორიის თანამშრომლებმა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით დაითვალეს ყველა ცნობილი ვარსკვლავი. ამ დათვლის შედეგად შეიქმნა 2700-გვერდიანი კატალოგი, სადაც ზუსტად არის ნაჩვენები 250 ათასი მზის ადგილმდებარეობა.

## მაიმუნი მწყემსი

აფრიკის მაიმუნთა ერთ-ერთი ჯიშის წარმომადგენლები — პავიანები, მსოფლიოში პირველი და ერთადერთი მწყემსი მაიმუნები არიან. მაიმუნი „ალა", დილ-დილობით გადენის ხოლმე თხებს და საღამოთი საძოვრიდან ყველანი უვნებლად მიჰყავს.



## მონეტა კომეროსის გამოსახულებით

საბერძნეთის კუნძულ ჰიოსზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა მონეტა, რომელიც მიეკუთვნება VI საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მონეტაზე გამოსახულია დაფნის გვირგვინოსანი კაცის



ფილიმონ ქორიძე



ხარლამპი სავანელი



ნიკო სულხანიშვილი



ვიქტორ დოლიძე

გენდა. ამ მხრივ პირველი ცდა მელიტონ ბალანჩივაძეს ეკუთვნის. ეს იყო „თამარ ცბიერი“. თავდაპირველად კომპოზიტორმა „თამარ ცბიერის“ დიდი ფრაგმენტი აჩვენა. ეს ფრაგმენტები ქართული პროფესიული მუსიკის ახალი პერიოდის პირველი მაუწყებელი გახდა, მაგრამ ეს ოპერა მთლიანად მხოლოდ 30 წლის შემდეგ დაიდგა.

ეროვნული მუსიკის განვითარებასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიმიტრი არაყიშვილის ოპერამ „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919 წ.). უშუალობითა და ფაქიზი ლირიზმით არის გამსჭვალული ეს ნაწარმოები. განსაკუთრებული ოსტატობით იყენებს კომპოზიტორი რომანსის ფორმას. ამუშავებს საცეკვაო მელოდიებს.

იმავე წელს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. აღსრულდა მრავალი ხნის ოცნება — ეს იყო სრულიად ახალი, სრულყოფილი ნაწარმოები. მასში ყველაფერი — მუსიკალური სახეების გამოძერწვიდან თვით მუსიკალური მოქმედების განვითარებამდე, — ქართული საგუნდო პოლიფონიის პრინციპებიდან გამომდინარეობდა. ამ ოპერაში აჟღერდა ერთიანი ქართული მუსიკალური ენა, მასში შერწყმულ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალური დიალექტი. ეს იყო პირველი, და ამავე დროს ზედმიწევნით სრულყოფილი ნაწარმოები, რომელშიც შემოქმედებითად იყო ათვისებული ევროპული ოპერის მიღწევებიც.

ამ წელსვე დაიდგა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. ვიქტორ დოლიძემ შექმნა მშვენიერი ნაწარმოები, რომელიც გამოირჩევა მუსიკალურ სახეთა სიმკვირცხლითა და მომხიბვლელობით, კაშკაშა იუმორითა და უშუალობით. კომპოზიტორმა დიდებულად გადმოსცა ძველი თბილისის კოლორიტი, მძაფრი კომიკური სიტუაციები.

თითოეული ამ კომპოზიტორის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე, მათს შემოქმედებითს მიღწევებზე ბევრი დაწერილა. მრავალ მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომშია განხილული და ახსნილი მათი შემოქმედებითი პრინციპები, მაგრამ სათქმელი მაინც ბევრი რჩება...

ჩვენი მიზანი სულ სხვა იყო — დღევანდელი დღის პოზიციებიდან გადაგვეხედა ქართული მუსიკის წარსულისათვის და კიდევ ერთხელ მადლობისა და სიამაყის გრძნობით გაგვეხსენებინა ქართული მუსიკის კლასიკოსთა სახელები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს დღევანდელ ეროვნულ მუსიკას, ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართული მუსიკალური კულტურის ფართო გზაზე გასვლის საქმეს.

პროფილი და აქვს წარწერა „ჰომეროსი“. აქამდე ფიქრობდნენ, რომ ჰომეროსი — გამოგონილი ლეგენდარული პოეტია ძველი საბერძნეთისა. ამ მონეტის პოვნამ უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღელვებდა მკვლევარებს: ნამდვილად არსებობდა თუ არა ჰომეროსი?

### ყველაზე სქელკანიანი ცხოველი

რომ ამბობენ ყველაზე სქელკანიანი ცხოველი სპილოაო — არაა მართალი. სპილოს 1,8 სმ სისქის კანი აქვს, მაგრამ კანის სისქეში ჩემპიონად იგი მაინც არ ჩაითვლება. მარტორქას 2 სმ სისქის კანი აქვს, ნილოსის ბეჰემოთს კი 2, 2 სანტიმეტრი.



ერთ დღეს მამამ ჰკითხა თავის ვაჟს:
— ჟან, დიდი რომ გაიზრდები, რა გინდა გამოხვიდე?
— მე მინდა, ყოველდღე მანქანით დავქროდე და ჯიბეები ფულით მქონდეს სავსე.
— კარგი, მაშ კონდუქტორს გამოგიყვანთ, — მიუგო მამამ.

●

ერთ-ერთ ოჯახში, სადილობისას, პატარა ვიქტორი თავის მაგიდასთან დასვეს.
— როცა დიდი გაიზრდები და უკვე წვერულვაშიანი იქნები, მაშინ ჩვენთან ერთად ისადილებ, — უთხრა მამამ.

უეცრად, ბიჭთან კატა გაჩნდა და დაუწყო ყურება გემრიელი ლუკმის მოლოდინში. გულაჩუყებული ვიქტორი კატას გაუჯავრდა და უთხრა:
— შენ ხომ წვერულვაშიანი ხარ, ჰოდა, რა გინდა ჩემგან, წადი და დიდებთან ისადილე.

●

გეოგრაფიის მასწავლებელს ორი პაპიროსის კოლოფი ჰქონდა — ერთი მრგვალი, მეორე — ოთხკუთხედი. პირველს იგი ხმარობდა სამუშაო დღეებში, ხოლო მეორეს, უფრო ლამაზს — უქმე და კვირა დღეებში.

ერთ დღეს ის მოსწავლეებს ესაუბრებოდა დედამიწის ფორმაზე, მოიშველია თავისი მრგვალი კოლოფი: „შეხედეთ ბავშვებო, დედამიწა სწორედ ასეთი ფორმისაა“.

მომავალ გაკვეთილს ინსპექტორი დაესწრო, მასწავლებელმა იკითხა: „ბავშვებო, მითხარით — როგორი ფორმისაა დედამიწა?“.

ერთი პატარა ბიჭუნა წამოდგა და უყოყმანოდ სხაპასხუპით უპასუხა:
— დედამიწა მრგვალია სამუშაო დღეებში, ხოლო ოთხკუთხედი — კვირაობითა და უქმე დღეებში.

ფრანგულიდან თარგმნა ნათელა შაქრიაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მისალმება

**იური სოტნიკი**

მხატვარი ბ. ვალკა.

ტყეში, კოხტა ნაძვებს შორის დაკლაკნილ ბილიკზე, პაშა მოჩალინი მიდიოდა. იგი სადღესასწაულოდ იყო გამოწყობილი: ახალთახალი შავი შარვალი და ქათქათა პერანგი ეცვა. წითელი ყელსახვევი ეკეთა. თითქმის მთლად თეთრი, კოხტად შეკრეჭილი თმა გადაევარცხნა. მაგრამ წითური მსხვილი ჭორფლით დაფარული სახე შეწუხებული და დაღვრემილი ჰქონდა.

პაშა ნელა მიაბიჯებდა, სადღაც ზევით უაზროდ იხედებოდა. ზურგს უკან რვეულის ფურცელი ეჭირა. მიდიოდა და უგუნებოდ ბუტბუტებდა:

— ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, როენოვის არასრული საშუალო სკოლის პიონერები, მოხარული... მოხარული ვართ... ისა... ეშმაკმა წაიღოს, დამავიწყდა! მოხარული ვართ, მოგესალმოთ ჩვენს მშობლიურ კოლმეურნეობაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩამოსვლა... თქვენი ჩამოსვლა.. .ისევ დამავიწყდა!

დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო: როენოველი მოსწავლეები ქალაქის პიონერთა სახლიდან სტუმრებს ელოდნენ. პაშას რაზმს მათთან, წელიწადზე მეტია, გაცხოველებული მიწერ-მოწერა აქვს. პაშას, როგორც რაზმის საბჭოს წევრს, დაავალეს, მისასალმებელი სიტყვით მიემართა სტუმრებისათვის.

წუხელ პაშა შუაღამემდე ქშინავდა სამზარეულოში — მისალმების ტექსტს ადგენდა და, როგორც იტყვიან ხოლმე, ძალიან განიცდიდა. წამდაუწუმ წამოხტებოდა და იმ ოთახის კარს შეაღებდა, სადაც მამამისი — კოლმეურნეობის ბრიგადირი, საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

— მამი, რომელი სიტყვა ჩავსვა აქ? „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ ძალიან მოხარული ვართ... გამარჯობა გითხრათ“, ოღონდ „გამარჯობა“ კი არა, რაღაც სხვა სიტყვა უნდა.

— მაშინ დაწერე: „მოხარული ვართ, მოგესალმოთ“, — ქაღალდებიდან თავაუღებლად პასუხობდა მამა ბოხი ხმით.

— ჰო! „მოგესალმოთ“, — იმეორებდა კმაყოფილი პაშა და უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ შეჰყოფდა კარში თავს:

— „თქვენი ჩამოსვლა დაეხმარება ჩვენს მეგობრობას“. არ ვარგა, არა?

— მაშინ დაწერე: „...დაგვეხმარება მეგობრობის განმტკიცებაში“.

— „მეგობრობის განმტკიცება“,- უკეთესია. ოღონდ „დაგვეხმარება“ არ მომწონს. მეტისმეტად ჩვეულებრივია. გაზეთებში სხვანაირად წერენ ხოლმე.

— შენც დაწერე: „ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას“.

— აჰა, ეგრე! — პაშა ენერგიულად ასწევდა მაღლა ცერს და თავის მაგიდას უბრუნდებოდა.

ბოლოს, მისალმება მზად იყო. პაშა დასაძინებლად დაწვა ლუმელზე, სადაც ლოგინი ჰქონდა გაშლილი, მაგრამ იქაც ვერ მოისვენა. ერთ ხანს იწრიალა, მერე კი სიბნელეში ძირს ჩამოძვრა და მამის ოთახის კარი შეაღო, სადაც ასევე ბნელოდა.

— მამი! გძინავს?

— რა იყო?

— როგორ აჯობებს, დაწერილი წავიკითხო, თუ ზეპირად დავისწავლო?

— დაიძინე! პირველი საათი დაიწყო უკვე!

— სჯობია დავიზეპირო. თორემ, ერთიც ვნახოთ, იმათ უქაღალდოდ ილაპარაკეს, მე კი — დაწერილით, მერე შეიძლება დამცინონ კიდეც.

მღელვარებისაგან იყო, თუ იმის გამო, რომ ვერ გამოიძინა, ვერა და ვერ დაიზუთხა ტექსტი. დილის ექვსი საათიდან დაყიალობდა ეზოში და დუდუნებდა მისალმების სიტყვებს. როცა უმცროსმა დებმა გაიღვიძეს და ტიტინით, აქეთ-იქით სირბილით ხელი შეუშალეს, ტყეში წავიდა. პაშა თანდათან უფრო შფოთავდა. სტუმრების ჩამოსვლამდე სულ რაღაც ერთი საათი რჩებოდა, მისალმება კი ჯერაც ვერ დაესწავლა.

პაშა ბუტბუტებდა, ხშირად ჩერდებოდა, რომ გაეხსენებინა დავიწყებული წინადადება, ზოგჯერ ქურდულად, ცალი თვალით იხედებოდა ტექსტში და ისევ მალავდა ზურგს უკან. ასე მიადგა ვიწრო მდინარეს, რომელზეც საცალფეხო ხიდი იყო გადებული. ხელმარცხნივ წვრილი, სუფთა ქვიშით დაფარული, პატარა პლაჟი იყო. მომავალმა ორატორმა გადაწყვიტა ებანავა და დაქანცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება გამოეცოცხლებინა. პლაჟზე ჩავიდა, ტანთ გაიხადა, პერანგი და შარვალი ფრთხილად გადაჰკიდა წნორის ტოტზე და წყალში გადაეშვა.

ამ დროს შორიდან ავტომობილის საყვირის ხმა და მრავალხმიანი სიმღერა მოისმა. პაშა კინაღამ დაიხრჩო შიშისაგან, ეგონა სტუმრები უკვე მოდიოდნენ სადგურიდან. მაგრამ ძელური ხიდისკენ რომ გაიხედა, დამშვიდდა: თივით დატვირთულ მანქანაზე კოლმეურნე ქალები ისხდნენ და ისინი მღეროდნენ.

პაშა ნაპირზე გამოვიდა. ტანთ არ ჩაუცვამს, ისე ამოიღო შარვლის ჯიბიდან დაწერილი ფურცელი და მეცადინეობა განაგრძო, ოღონდ უკვე სხვა მეთოდით. იმის მაგივრად, რომ ჩუმად ედუდუნა ცხვირში, მიიხედმოიხედა და, როცა დარწმუნდა ირგვლივ არავინ იყო, ხელების ქნევით ისე სწრაფად, ხმამაღლა და აღმაფრენით დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ორასი კაცი მაინც უსმენდა:

— ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, როჟნოვის არასრული საშუალო სკოლის პიონერები, მოხარული ვართ მოგესალმოთ ჩვენს მშობლიურ კოლმეურნეობაში. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას, რომელიც მიწერ-მოწერის საშუალებით დამყარდა. ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ინტერესით ვკითხულობდით თქვენს წერილებს და გვიხაროდა, რომ თქვენ... და გვიხაროდა იმიტომ... პაშას შეეშალა, დადუმდა და გაბრაზებით მიაჩერდა მდინარის მეორე ნაპირს.

იქ, თითქმის ზედ მდინარის პირს ყვითელ კედლად მოსდგომოდა მწიფე ჭვავის ყანა. ყანაში ჩამალულ ბილიკზე ვიღაც მოდიოდა. თავთავებში ჯერ მარტო ნაცრისფერი ქუდი მოჩანდა, მერე თავიც გამოჩნდა. შემდეგ კი — მზემოკიდებული შიშველი მხრები.

— რა ეშმაკმა მოათრია! — წაიბუზღუნა პაშამ, ქვიშაზე დაჯდა, ტექსტი მუხლებზე დაიდო და ხმადაბლა განაგრძო ზუთხვა.

მგზავრი ყანიდან გამოვიდა. პაშას კბილა ბიჭი იყო. მხოლოდ ტრუსები ეცვა და იღლიაში ამოეჩარა გაზეთში გახვეული მოგრძო ნივთი, რომელსაც შუაზე კიდევ რაღაც თეთრი ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. ხიდზე რომ გადმოვიდა, ბიჭი შეჩერდა და ჩაფიქრებულმა ცხვირი მოიფხანა.

პაშამ ალმაცერად გადახედა მას.

— ახლა ბანაობაც თუ მოინდომა, როგორღა ვიმეცადინო! — ჩაიჩურჩულა მან.

ამასობაში ბიჭი პლაჟზე ჩავიდა და პირდაპირ პაშასკენ გაეშურა, ორატორიდან ორიოდე მეტრზე ფრთხილად დადო შეხვეული ნივთი, ქუდი მოიხადა, სანდლები წაიძრო და ხელისგულები მკერდზე დაიტყაპუნა.

— თბილია წყალი? — ხმამაღლა იკითხა მან.

პასუხის ნაცვლად პაშამ მისალმების ტექსტში ჩარგო თავი და სწრაფად ააცმაცუნა ტუჩები.

ბიჭმა ქედმაღლური გაკვირვებით შეხედა პაშას და პაჭუა ცხვირი აიბზიკა:

— ეი! წყალი თბილია? — უფრო ხმამაღლა გაუმეორა მან.

პაშამ ახლაც არ გასცა ხმა.

— შენ რა, ყრუ ხომ არა ხარ?

— ჰო, ყრუ ვარ! მერე შენ რა გნებავს? — წაიბუზღუნა ორატორმა.

— გეზარება პასუხის გაცემა?

პაშამ ნელ-ნელა მიაბრუნა თავი ბიჭისაკენ:

— ჰო, მეზარება. ვა!

— თავში ქვა! დავაშავე, მომიტევეთ, გეთაყვა! არ ვიცოდი, თუ ასეთი ზვიადი ვაჟბატონი ბრძანდებოდით. მეგონა, ჩვეულებრივი ადამიანია-მეთქი, აქ კი ისეთი პიროვნება დამხვდა, რომ პირდაპირ საშინელებაა!

— აბა, მოუსვი აქედან, — ხმადაბლა უთხრა პაშამ და თვალი თვალში გაუყარა ბიჭს.

ბიჭმა დოინჯი შემოიყარა:

— რაო, რაო? ეს „მოუსვი“ რას ნიშნავს?

პაშა ნელ-ნელა წამოდგა:

— გეუბნები, მოუსვი მეთქი პლაჟიდან სანამ მოგხვდება!

— შენ რა, იყიდე ეს პლაჟი? იყიდე?

— ერთს რომ გითაქებ კისერში, მაშინ მიხვდები, ვიყიდე თუ არა!

— შენა? მე? — ბიჭმა გაიღიმა და პაშას მიუახლოვდა. — იქნებ გინდა ნოკაუტი მიიღო? გინდა?

პაშამ უკან გადადგა ნაბიჯი, შიშველი ფეხის თითებით ქვიშა მოხვეტა, მოიქნია ფეხი და მთელი ბლუჯა ქვიშა შეაყარა ბიჭს შიგ პირში. ბიჭი სამიოდე წამს ერთ ადგილზე იდგა და იფურთხებოდა, მერე უხმოდ ეძგერა პაშას. ტკაც! — და... ორატორს მარჯვენა თვალიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. თხლაშ! — და... ტუჩეზე მარილის გემო იგრძნო. გაშმაგებული ორატორი მოწინააღმდეგეს ჩააფრინდა და მასთან ერთად დაეცა ბიჭის მიერ მოტანილ ნივთზე. პაშამ ერთი-ორი უთავაზა. წამოხტა და განზე გახტა ახალი იერიშის მოლოდინში. მაგრამ იერიშზე აღარავინ ფიქრობდა. ბიჭს უცებ თითქოს სულაც გადაავიწყდა პაშა. იგი წამოჯდა. დაბნეულად მოათვალიერა ქვიშა, შემდეგ ხელები მოაფათურა ირგვლივ, მოსინჯა შეხვეული ნივთი, რომელზეც იჯდა. და ისე სწრაფად გადაჩოჩდა გვერდზე. თითქოს მხამიან გველზე იჯდაო. ერთი წამის შემდეგ სახე წამოუწითლდა და დაელრიჯა.

— ჰოდა, აგე ახლა პასუხი! აგე პასუხი! აი, პასუხი აგე! — ატირდა ბიჭი და თან თითს იშვერდა პაშასკენ.

ორატორს გახეთქილი ტუჩიდან სისხლი ნიკაპზე ჩამოსდიოდა თვალი შეუსივდა და ჩაულურჯდა.

— რაო? — ანგარიშმიუცემლად იკითხა მან.

— აი, ახლა პასუხს აგებ, ჰო, აგებ! ახლა პასუხს აგებ! — ბრაზმორევით ტიროდა ბიჭი.

— „პასუხს აგებ, პასუხს აგებ“! — გამოაჯავრა პაშამ. — შენ თვითონ სისხლი მადინე და მე უნდა ვაგო პასუხი?

— აგებ კიდეც! როჟნოველ ბიჭებს ვეტყვით და, სულერთია, მოგნახავენ! ისინი გიჩვენებენ სეირს!

როჟნოველი ბიჭების ხსენებაზე პაშამ ყური ცქვიტა:

— როჟნოველი ბიჭები? მერე და, რას მიზამენ როჟნოველები?

— რასა და იმას! ნახე ერთი, რა ჩაიდინე! — ბიჭი გაზეთში შეხვეულ შეჭყლეტილ ნივთთან ჩაცუცქდა და შემოხსნა თეთრი ქსოვილი, რომელიც პერანგი აღმოჩნდა. პერანგიდან წითელი ყელსახვევი გადმოვარდა. ბიჭმა გაზეთი გაშალა. გამოჩნდა დამტვრეული თამასებისა და ვერცხლისფრად შეღებილი, დაგლეჯილი ქაღალდის გროვა. გროვაში ბენზინის მოტორი ბრწყინავდა და წითელი პროპელერიც მოჩანდა.

— აჰა, ნახე! — ისევ ხმამაღლა ატირდა ბიჭი. — ექვსმა კაცმა მთელი თვე ვიმუშავეთ ამაზე! ახლა ნახავ სეირს! ახლა გიჩვენებენ როჟნოველები, როგორ უნდა მოდელების დამტვრევა და მათი სტუმრის ცემა!

— რო-ო... რომელი სტუმრის? — უცებ ხმა ჩაუწყდა პაშას.

— იმნაირის! ქალაქის პიონერთა სახლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაშას მუხლები მოეკვეთა და ქვიშაზე დაჯდა. ყბა ჩამოეკიდა და, ისეთი თვალებით მიაშტერდა ბიჭს, რომ იმან ზლუქუნიც კი შეწყვიტა. ასე გავიდა ნახევარი წუთი. უცებ, პაშამ თავი გააქნია.

— სტყუი! — ხრინწიანი ხმით წაიჩურჩულა მან. ისინი თხუთმეტნი არიან. ავტობუსით მოდიან... იმათ დიდ ხიდზე უნდა გამოიარონ... არა! სტყუი ყველაფერს!

— არაფერიც, ავტობუსით არ მოდიან! გადავწყვიტეთ, ფეხით წამოვსულიყავით სადგურიდან. სხვები დასასვენებლად შეჩერდნენ, მე კი წინ გამომიშვეს, რომ მოდელის აწყობა მომესწრო. ხაზზე უნდა მივვერთმია როჟნოველი პიონერებისათვის.

პაშა ერთ ხანს ჩუმად იყო და ხელის ზურგით სისხლს იწმენდდა ნიკაპზე, მერე ბიჭთან მიცოცდა ჩოქელა.

— მისმინე.. ისა.. მოიცა! შენ ვინა ხარ? — ძლივს გასაგონად ჰკითხა.

— ავიასამოდელო წრის მამასახლისი ვარ. მერე შენ რა?

— მე? — ისევ ძალიან ჩუმად წარმოთქვა პაშამ. — მაშ შენ იური ხარ, სამოხვალოვი? მე კი პაშა მოჩალინი ვარ, რაზმის საბჭოს წევრი... თქვენთვის სათქმელ მისალმებას ვსწავლობდი აქ. აი, ნახე! — პაშამ ქვიშაზე დაგდებული ფურცელი აიღო და ბიჭს გაუწოდა.

იურამ გადაავლო თვალი რამდენიმე სტრიქონს, მერე ქაღალდიანი ხელი უძლურად დაუშვა ძირს. საზოგადო მოღვაწენი ერთ ხანს მუხლებზე იდგნენ და გამოლენჩებული მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს ავიამემოდელეთა წრის მამასახლისმა ჩუმად თქვა:

— ეს რა ჩავიდინეთ, ჰა?

— მეც მაგას არ ვამბობ? ეს რა ჩავიდინეთ!

ბიჭები ერთ წუთს გაყუჩდნენ, მერე იური წამოდგა და პერანგის ჩაცმა დაიწყო.

— მორჩა! — ამოიხვნეშა მან. — ახლა უბილეთოდ მომიწევს წასვლა.

— წასვლა? სად? — ჰკითხა პაშამ.

— სად და ქალაქში. მთელი ჩვენი ფული ხელმძღვანელს აქვს. მე ჯიბეც კი არა მაქვს.

იურა ყელსახვევის გაკეთებას შეუდგა, ხმამაღლა ქსუტუნებდა და მზად იყო ისევ აღრიალებულიყო.

— ამხანაგებს რაღას უზამ? ძებნას დაგიწყებენ, — შენიშნა პაშამ.

— ადგნენ და მეძებონ! — ცრემლნარევი ხმით წამოიძახა იურამ. — როგორ უნდა დავენახო როჟნოველებს, როცა მათი რაზმის საბჭოს წევრს ასეთი დღე დავაყარე. შენ ვერა ხედავ შენს თავს, თორემ საშინელი შესახედავი ხარ.

პაშამაც დაიწყო ტანთ ჩაცმა.

— იურა! — უთხრა მან უეცრად, — მოდი, იცი, რა ვქნათ? ვუთხრათ, ვითომ ვიღაც ხულიგნები დაგესხნენ თავს და მოდელი დაგიმტვრიეს, მე კი მოშველება მინდოდა და ასეთ დღეში ჩამაგდეს.

— არაფერი გამოვა! — ამოიოხრა მამასახლისმა.

— რატომ?

— ისეთი წყეული სახე მაქვს. რამდენჯერ დავაპირე ტყუილის თქმა — მაინც შემატყვეს სახეზე. — იურამ ფუზელაჟის ნამტვრევი აიღო მიწიდან, მოტორიანად და პროპელერიანად. — ცოტა გამაცილე რა.

— კეთილი. პირს დავიბან მხოლოდ.

პაშამ გახეთქილი ტუჩები მდინარის წყლით მოიბანა და, ახალმა მეგობრებმა პლაჟი დასტოვეს.

— იური! რაზე ვიჩხუბეთ, თუ გახსოვს?

— ჩემი ტუტუცური ხასიათის გამო. ოჰ, აი... აი, ყველაფერს მივცემდი, რომ ეს ოხერი ხასიათი გამომეცვლებოდეს როგორმე! აბა, ოა იქნებოდა გამოვბრუნებულვიყავი და მოგშორებოდი! სულელი ვარ!

— მეც ეგრე მემართება... მე უარესი ხასიათი მაქვს. მე სულ არა მაქვს ისა.. თავდაჭერილობა. მამაჩემი სულ მეუბნება: შენაო გაგიჭირდებაო ხალხთან ცხოვრება! განა რა დამიჯდებოდა — შენ რომ მკითხე. წყალი თბილიაო? — მეც მეპასუხა: კი, თბილია, ოღონდ, გეთაყვა, ცოტა იქით წადი, მე აქ ვმეცადინეობ-მეთქი. განა არ წახვიდოდი? რა თქმა უნდა, წახვიდოდი, თუ ზრდილობიანად გეტყოდი. ხომ მართალია?



ხიდის შუამდე რომ მივიდნენ, იურა შეჩერდა.

— მოდი ნაპირ-ნაპირ წავიდეთ. გზაზე ნუ ვივლით, თორემ შეიძლება ჩვენს ბავშვებს შევხვ...

დამთავრება ვერ მოასწრო, რადგან, სადღაც იქვე ახლოს დოლი აგრიალდა და არც თუ მთლად კეთილხმოვნად დაიბღავლა საყვირმა. მაღალი ყანიდან წყვილ-წყვილად გამოვიდა თხუთმეტიოდე თეთრპერანგიანი და წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭი. ისინი დაეშვნენ ხიდისკენ, სადაც თავზარდაცემული მამასახლისი და ორატორი გაშეშებულიყვნენ.

— ბიჭოს! იურკა ჯერ ისევ აქა ყოფილა! — პიონერები ხიდზე ორი ბიჭის წინ შეგროვდნენ. — აქ რას აკეთებ? გზა ვერ გაიგნე? ეს ვიღაა?

— ესა? — იურამ პაშასკენ მიიხედა. — ეს ისე.. ეს ისე... რა, უბრალოდ... ეს, საერთოდ, — წაილუღლუღა მან.

თხუთმეტი წყვილი თვალი მიაჩერდა პაშას. ყველა სდუმდა. პაშამ ველარ გაუძლო ამ დუმილს, ამ მზერას, გახეთქილი ტუჩი გაილოკა, ხელები ჩამოუშვა, გაიჭიმა და, უნებლიედ, მაღალი, განწირული ხმით დაიწყო:

— ძვირფა... ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, როჟნოვის სკოლის პიონერები, მოხარული ვართ მოგესალმოთ ჩვენს მშობლიურ კოლმეურნეობაში... ჩვენ... მეგობრობა... ხელს შეუწყობს... იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ... იმიტომ, რომ ჩვენ...

პიონერები დიდი ყურადღებით უსმენდნენ და ხან ორატორის ჩალურჯებულ თვალს შეხედავდნენ, ხანაც ვერცხლისფერი მოდელის ნამტვრევს, იურას რომ ეჭირა ხელში.

თარგმანი ვ. ძიძიგურისა.



# იაკობ ნიკოლაძე

გამოჩენილ საბჭოთა მოქანდაკეს, ქართული რეალისტური სკულპტურის ფუძემდებელს იაკობ ნიკოლაძეს ჩვენი ეროვნული ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია; მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ქანდაკების პირველი ნაბიჯები, მისი შემდგომი ზრდა და დავაჟკაცება.

იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წელს, ქუთაისში. იგი ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. შემდეგ კი ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში შევიდა. ამ სასწავლებელში სწავლის პერიოდშივე გამოიჩინა თავი იაკობმა, როგორც ხატვის ნიჭით დაჯილდოებულმა შეგირდმა.

ჩვენი სალონი

**1891** წელს სასწავლებელი დაამთავრა და გაემგზავრა მოსკოვს ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ ვერ მოხვდა. სამი წელი იაკობმა სტროგანოვის სასწავლებელში გაატარა.

**1894-95** წლებში ი. ნიკოლაძე ოდესის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა. ამ პერიოდიდან შემონახულია მისი რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი.

ერთი წლის შემდეგ იაკობი უკვე ქუთაისშია. ცდილობს დაეუფლოს თაბაშირისა და ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნიკას. ი. ნიკოლაძის პირველი ქანდაკება იყო „ტარტიუფი" (ლ. მესხიშვილი ტარტიუფის როლში). მას მოჰყვა „მოხუცი ებრაელის" ეტიუდი, „მესტვირის" ესკიზი, ლ. მესხიშვილის პორტრეტი, შ. რუსთაველის ფიგურა, აკაკი წერეთლის ბარელიეფური პორტრეტი.

**1899** წელს ი. ნიკოლაძე პარიზს მიდის. აქ იგი შედის საფრანგეთის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. ამ დროიდან შემორჩენილია მისი ნამუშევარი—მცირე ზომის ქანდაკება „ხევსური", რომელიც სალონში იქნა გამოფენილი. ამ სტატუეტის თემა მოწმობს, რომ იაკობ ნიკოლაძე



ქალი ილია ჭავჭავაძის საფლავზე, მთაწმინდაზე (დეტალი).

უცხოეთშიც სამშობლოზე ფიქრობს, ცდილობს რაიმე შესძინოს თავის ერს, რაღაცით გამოადგეს მას.

1901 წელს ი. ნიკოლაძე თბილისში ჩამოდის და ერთი წელი პორტრეტულ ქანდაკებაზე მუშაობს. მან შეასრულა შიო არაგვისპირელის, ვასო აბაშიძის, კოტე მესხის და ტასო მაჩაბლის პორტრეტები.

სულ მალე იაკობი ტუბერკულოზით ავადდება და სამკურნალოდ მიდის ჯერ აბასთუმანში, შემდეგ — ფლორენციაში, სადაც შვიდ თვეს რჩება. იგი დადის მუზეუმებში, — ეცნობა რენესანსის ხელოვნებას. 1904 წელს კი ისევ პარიზში ვხედავთ. აქ შექმნა მან რუსთაველის ბიუსტი და სხვა სკულპტურული ნაწარმოებები: „ქარი“, „მოცეკვავე“, „გოგონა სურით“, „სალომეა“, „სუსანა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვისაგან გამოთლილი, მცირე ზომის ქანდაკება „ქარი“. ემოციური სიძლიერით კომპოზიციის ოსტატობით, შესრულების მაღალი ტექნიკით ეს ქანდაკება ერთ-ერთი უძლიერესთაგანია ი. ნიკოლაძის ნაწარმოებთა შორის.

1905 წელს ნიკოლაძე ხვდება როდენს — გენიალურ ფრანგ მოქანდაკეს და იწყებს მასთან მუშაობას.





1908 წლის თებერვალში ი. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა. მას მაშინვე შეუკვეთეს ქანდაკების ესკიზი ილია ჭავჭავაძის საფლავისათვის. ძეგლზე სამუშაოდ იაკობი პარიზს მიემგზავრება, სადაც ექვსი თვე მუშაობს ნატურალური ზომის თიხის ესკიზის აგებაზე. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფიგურა საქართველოში ჩამოიტანეს 1910 წელს.

ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“ ალეგორიული ხასიათისაა. ქალის მდგომარე ფიგურა სიმბოლურად გამოხატავს მთელი ერის გლოვას. სიმეტრიული გადაწყვეტილებით, ნაზი და ფერადოვანი გამით, საერთო მწუხარე განწყობილებით, ძეგლი მაყურებელში სევდიანი სიმშვიდის გრძნობას იწვევს. „მწუხარე საქართველო“ მრავალი წლის განმავლობაში იყო ერთადერთი ძეგლი — ქართველი კაცის მიერ შესრულებული. ძეგლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო იმითაც, რომ იგი აიგო ეროვნული თვითშეგნების გაღვივების პერიოდში.



ე. ნინოშვილის ძეგლზე მუშაობა ნიკოლაძემ დაიწყო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციასთან არსებული კომიტეტის დაკვეთით. 1911 წლის ივლისში მწერლის პორტრეტი უკვე მზად იყო. იგი ბრინჯაოსაგან ჩამოასხეს საფრანგეთში.

ე. ნინოშვილი წარმოდგენილია მკერდამდე. ქანდაკების საერთო კონტურებს ესიტყვება სახის წყნარი და ნაღვლიანი გამომეტყველება. მაგრამ ეს გამომეტყველება მაინც მტკიცეა. მოქანდაკემ გადმოსცა მწერლის სულიერი თვისებები: ურყევი ნებისყოფა, ხალხისათვის თავდადება...

ოთხი წლის შემდეგ ი. ნიკოლაძემ, ძეგლის სახით დასადგმელად, შექმნა აკაკი წერეთლის ბიუსტი. აკაკი გამოსახულია მკერდამდე. იგი შიშველია და მხოლოდ ცალ მხარეზე აქვს მოგდებული მოსასხამი. მიუხედავად უაღრესი პორტრეტული მსგავსობისა, პოეტის სახე განზოგადოებულია. ეს გადმოცემულია ზეაპყ..ობილი თვალებით, აღტაცებული მზერით და სხვ.

1911-18 წლებში ი. ნიკოლაძემ გა..და ძეგლებისა შექმნა რამდენიმე პორტრეტი, რომლებშიაც აშკარად ჩანს მხატვრული ზრდა და მომწიფება. 1914 წელს იგი აკეთებს დიდი ზომის „ჰორელიეფს „დიონისეს ლხინს“, ჰქმნის ვიოლინოზე დამკვრელ ვ. ჰუბერმანისა და პოეტ

ვალერიან გაფრინდაშვილის პორტრეტებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ნიკოლაძემ უდიდესი აღფრთოვანებით დაიწყო მუშაობა. მან შეასრულა როზა ლუქსემბურგის ბიუსტი, რომელიც დადგეს კიდეც. ამავე ხანებში გააკეთა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ბიუსტები. (ენგელსის ბიუსტი დგას ქ. ქუთაისში).

1922 წელს წულუკიძეში დაიდგა ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული საშა წულუკიძის ბიუსტი. ამავე წელს იაკობი მიწვეულ იქნა ახალგახსნილ — სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების კლასის პროფესორად და ქანდაკების განყოფილების გამგედ. თვით აკადემიის დაარსების საქმეშიც ი. ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ამ დროისათვის ი. ნიკოლაძეს იმდენად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რომ 1922 წლის დეკემბერში მას 25 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. ი. ნიკოლაძეს მიენიჭა სახალხო მოქანდაკის საპატიო წოდება.

1922-23 წლებში ჩატარდა კამოს ძეგლის პროექტების კონკურსი. პირველი პრემია მიიღო ი. ნიკოლაძემ. მის მიერ შესრულებული ძეგლი (დაიდგა თბილისში, პუშკინის ბაღში) წარმოადგენდა ოთხი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს. ეს იყო საქართველოში პირველი ჯგუფური კომპოზიცია და მისი დადგმა ქართული ქანდაკების ერთ-ერთი საგულისხმო ეტაპი იყო.

1924 წელს ლენინის ძეგლის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში პირველი პრემია კვლავ ი. ნიკოლაძეს მიენიჭა.

20-იანი წლებიდან ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს ლენინის თემა. იგი ბევრს მუშაობს ლენინის როგორც ბიუსტზე, ასევე მონუმენტებზე.

1926 წელს ნიკოლაძემ მარმარილოში გამოჰკვეთა დიდი ბელადის ბიუსტი. ვ. ი. ლენინი ამ ბიუსტში გამოსახულია როგორც უდიდესი ჰუმანისტი — მისი გამოხედვა რბილია და თბილი, ამასთანავე გამჭრიახი და მტკიცე. ოდნავი ღიმილი ემჩნევა მის სახეს.

1932 წელს ნიკოლაძემ შექმნა პეტრე მელიქიშვილის პორტრეტი, რომელიც დგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible]ოში.

1934-36 წ[illegible] ი. ნიკოლაძე ინტენსიურად მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის ფასადის გაფორმებაზე. ჰორელიეფები ამ ფასადზე — საქართველოში პირველ მონუმენტურ-დეკორატიულ ქანდაკებას წარმოადგენს. ჰორელიეფების თემაა: ერთისა — ეპიზოდი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორიიდან, მეორისა — ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომის შედეგები.

1937-38 წლებში ნიკოლაძემ შექმნა შოთა რუსთაველის სამი პორტრეტი, ილია ჭავჭავაძის ორი პორტრეტი და ერთი რელიეფი (წიწამურის ობელისკზე). შემდგომ წლებში ი. ნიკოლაძე ბევრს მუშაობდა თანამედროვეთა პორტრეტებზე, რომელთაგან გამოირჩევა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის, აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის და სხვათა პორტრეტები.

ი. ნიკოლაძეს განსაკუთრებით გაუთქვეს სახელი ქანდაკებებმა: „ჩახრუხაძე" და „ლენინი „ისკრის" პერიოდში".

„ჩახრუხაძე" ი. ნიკოლაძის ერთ-ერთი ყველაზე შთაგონებული ნაწარმოებია. მარმარილოსაგან გამოთლილი ეს ქანდაკება თითქოს რაღაც იდუმალზე ლაპარაკობს და მაყურებლისაგან სიჩუმეს მოითხოვს. თქვენ გრძნობთ გამოსახული პიროვნების მდიდარ შინაგან ბუნებას. ჩახრუხაძის სახე მეტყველებს უაღრესად დახვეწილ ინტელექტზე. უყურებთ და გჯერათ, რომ ეს ადამიანი მართლაც პოეტი და ფილოსოფოსია.

„ისკრისდროინდელი ლენინი" მკვეთრად განირჩევა ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ლენინის სხვა პორტრეტებისაგან. მას ახასიათებს შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული შერწყმა, დიდი პლასტიკური ძალა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე ი. ნიკოლაძე ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული და მას საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა; 1947 წელს კი სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

1951 წლის 10 მარტს იაკობ ნიკოლაძე გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ი. ნიკოლაძე იყო დაუცხრომელი მოღვაწე-პედაგოგი. მეოთხედი საუკუნის მანძილზე მან არაერთი შესანიშნავი მოქანდაკე გამოზარდა.

სულ ახლახან ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა იაკობ ნიკოლაძის დაბადების 90 წლისთავი, რითაც გამოხატა თავისი დიდი სიყვარული სასიქადულო ხელოვანისა და მამულიშვილისადმი.

# ფოლაქი და ნემსი

**გივი ჭიჭინაძე**

პაწაწინა ფოლაქმა
ნემსს დაუწყო ძაგება:
— მე თუ მკითხავ, არ ღირხარ
ერთი ძაფის აგებად!
ბალიშზე რომ დასკუპდი,
რა ღირსი ხარ ნეტავი, —
კუდიანი, ცალთვალა,
უშნო შესახედავი...
აი, მე კი დასაწუნს
ვერ მიპოვი სრულებით,
ოთხთვალა ვარ, კოხტა ვარ, —
ვერ გაძღები ყურებით.
ნემსს სიცილი აუტყდა,
ჩხუბს არ იყო ნაჩვევი:
— ეი, ციცქნა ფოლაქო,
მაგრად ნუ იქაჩები,
თორემ ადგილს დაკარგავ,
ჩამოწყდები მაგ ხალათს,
ჰოდა, კვლავ დაგჭირდება
ჩემისთანა ცალთვალა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოგადგება

როცა ჩარჩოში მინას აჯენ, ლურსმნის ჩასაჭედებლად, ცხადია, შეგიძლია გამოიყენო სატეხელა ან ბრტყელი ქლიბი, მაგრამ ამ დროს ძნელია გადაარჩინო მინა დაკაწვრა-გატეხვისაგა ა ნ. ამიტომ ასეთ დროს უმჯობესია გამოიყენო' ბრტყელტუჩა და იმით ჩაარჭო ლურსმანი ჩარჩოში. (დახედე ნახატს) არ დაგავიწყდეს, ბრტყელტუჩას ერთ-ერთ ტუჩს დაახვიო საიზოლაციო ლენტი.



სველი მარილი მშიერ ადამიანსაც კი დაუკარგავს მადას. საკმარისია სუფრის მარილში აურიო ცოტაოდენი კარტოფილის ფქვილი და მარილი არასოდეს არ დაინამება.

როცა სალაშქროდ მიდიხარ, არ დაგავიწყდეს თან წაიღო რამდენიმე საჰაერო ბუშტი. რატომ? აი რატომ:
საჰაერო ბუშტში შენახული ასანთი არასოდეს არ დაგისველდება.

იგივე ბუშტში შეგიძლია ჩაასხა წყალი და შინ წამოიყვანო აქვარიუმისათვის დაჭერილი თევზი.

მინდვრის ყვავილებისაგან შეკრული პაწია თაიგული არ დაგიჭკნება, თუ ბუშტში წყალს ჩაასხამ და ყვავილების ღეროებს შიგ მოათავსებ.

ფოტოსურათების ბეჭდვის დამთავრების შემდეგ, როცა გამამჟღავნებელს ბოთლში ჩაასხამ შესანახად, შიგ იმდენი დაფხვნილი მინა ჩაყარე, რომ სითხის დონემ საცობამდე ამოიწიოს. ამით ჰაერს გამოდევნი ბოთლიდან და გამამჟღავნებელს დაიცავ ჟანგვისაგან.



რაც არ უნდა ეცადო ნავთით ან ზეთის საღებავით დასვრილი ხელებიდან წყლითა და საპნით ჩამოიშორო არასასიამოვნო სუნი, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევ. მაგრამ საკმარისია დაუმატო წყალს ცოტაოდენი მშრალი მდოგვი და არასასიამოვნო სუნიც სწრაფად გაქრება.







# სარჩევი

ა. კელენჯერიძე—ქართული სოციალისტური კულტურის აყვავება (წერილი) 1 გვ.
ე. ხახვაძე — ჰორიზონტი ივრცობა (ნარკვევი) . . . 2
ა. აბულაშვილი — გაზაფხული (ლექსი) 5
ქ. ჭილაშვილი — ეკიპაჟი „კისკისა“ (პიესა) . . . . . 6
გ. ჭელიძე — მას საქართველო დარჩა ოცნებად (ნარკვევი) . . . . . . 11
თ. ბერიძე — ძველი და ახალი 14
რ. ჩაჩანიძე — ჩაძირული კუნძული (მოთხრობა, ნაწყვეტი) . . . . . 16
ოქროს საწმისი 22
ე. მაჭავარიანი — ქართული ოპერის სათავეებთან (წერილი) . . . . . 23
ი. სოტნიკი — მამლაყინწები (მოთხრობა, თარგმანი ვ. ძიძიგურისა) . . . 26
იაკობ ნიკოლაძე —(დაბადებიდან 100 წლისთავი) . . . 29
გ. ჭიჭინაძე — ფოლაქი და ნემსი (ლექსი) . . . . . 31
გამოგადგება . 32
ნ. სტეფანიშვილი — იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს . გარეკანის 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია ხერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 04875 ტირ. 67.700. ქაღ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 15/IV-67 წ. სტამბის შეკვ. 1094. გამომც. შეკვ. 280. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავსატეხი

## კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 2. კავშირებითი ნაწილაკი; 3. თვის სახელი; 4. ქვეწარმავალი; 5. სახელმწიფო აფრიკაში; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ქალაქი ევროპაში; 8. ძლიერი ქარი; 9. მწვერვალი კავკასიონზე.

**ჰორიზონტალურად:** 2. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 5. მდინარე საქართველოში; 8. ცნობილი რუსი მწერალი; 10. საჰაერო ტრანსპორტი; 12. ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთი; 15. გარეული ფრინველი; 16. ხილი; 17. რაიონული ცენტრი საქართველოში.

ნათელა ფანცხავა,

წყალტუბოს რ-ნის სოფ. ხომულის 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.



## თავსატეხი

აიღე სქელი ქაღალდის ვიწრო ზოლი და მასზე ერთიმეორის პარალელურად გააკეთე ორი ვიწრო ჭრილი (დახედე ნახატს). მათ ქვემოთ ამოსჭერი მრგვალი ნახვრეტი, რომლის დიამეტრი ოდნავ მეტი უნდა იყოს ჭრილებს შორის დარჩენილ მანძილზე. მრგვალ ნახვრეტსა და ჭრილებში გაატარე კანაფი ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები და ბოლოებზე გამოაბი ღილები.



ქაღალდის გაუხევლად და ღილების მოუხსნელად, სცადე ქაღალდს მოხსნა ღილებიანი კანაფი.

## შარადა

თუ მიუწერ, გვერდით,
რიცხვს ათჯერ
გაზრდის ხელად,
შეუცვლი პირველ
ხმოვანს,
წინ დაუმატებ ბგერას.
დიდ რუსთაველის
წიგნში.
იმ ჩიტის სახელს
ვხვდებით,
ყმაწვილო,
დაუფიქრდი.
და სწრაფად
მიმიხვდები.

შ. ამირანაშვილი.

●

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ „თავშესაქცევზე“

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. ფრუნზე; 2. არია; 3. „ნანა“; 4. არაგვი; 10. ექვსი; 11. ომსკი; 12. „დაისი“; 15. დურაჯი; 16. არწივი; 17. ფოთი; 18. აზია.

**ჰორიზონტალურად:** 1. ფარაჯა; 3. ნიბლია; 5. რკინა; 6. ლალი; 7. ნუში; 8. აბაშა; 9. ესქილე; 12. მტრედი; 13. არაგვისპირელი; 14. პარიზი; 15. იტალია; 17. ფოსტა; 19. კოლო; 20. ზაზა; 21. თავვი; 22. აქლემი; 23. ავნევა.

●

### თავსატეხი

ჩექმები რომ მოხსნა საჭიროა გაიხსენო, თუ როგორ ჩამოაცვი ისინი ჩარჩოს და ყველაფერი უკუღმა (ბოლოდან) გააკეთო.

●

# პასუხი მე-2 ნომერში მოთავსებულ კითხვებზე

1. ფოტოსურათზე აღბეჭდილი ობელისკი აღმართულია თბილისში, ყოფილი ნაძალადევის უბანში.

2. ობელისკი ააგეს 1959 წელს.

3. 1905 წლის დეკემბერში მოსკოვში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც გამოეხმაურა თვითმპყრობელობის მარწუხებში მომწყვდეული ყველა ერის პროლეტარიატი. აჯანყების ტალღა საქართველოსაც მოედო, თბილისის პროლეტარიატი მოწინავე რიგებში ჩადგა.

რსდმპ ამიერკავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტებმა, რომელთა შემადგენლობაშიც იყვნენ: ი. სტალინი, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, მ. ცხაკაია და სხვები, ფართოდ გააჩაღეს აჯანყების პროპაგანდა და მუშებს შეიარაღებისაკენ მოუწოდებდნენ.

1905 წლის 11 დეკემბერს ნაძალადევში (ხუდადოვის ტყეში) გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც აირჩია ცენტრალური საგაფიცვო ბიურო. 12 დეკემბერს კი საყვირის ხმამ მთელ ქალაქს ამცნო მუშათა საყოველთაო გაფიცვა. — ნაძალადევი შეიარაღებულთა ხელში გადავიდა.

სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შექმნა შეიარაღებული აჯანყების შტაბი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მიხა და ზაქრო ჩოდრიშვილები, მიხა ბოჭორიძე, კამო და სხვები.

შტაბისათვის ნათელი იყო, რომ მთავრობის ჯარი მთავარ იერიშს ნაძალადევზე მიიტანდა, ამიტომ აჯანყების ხელმძღვანელობამ სწორედ ამ უბნის დაცვას მიაქცია

ნ 31/95
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება სამ ჯგუფად დაყოფილი მუშათა შეიარაღებული რაზმები ნაძალადევს სამი მხრიდან იცავდნენ. და აი, 18 დეკემბერს, რევოლუციურ ნაძალადევს, რომელმაც გაბედულად აღმართა აჯანყების წითელი დროშა, გარს შემოერტყნენ კაზაკთა და დრაგუნთა ნაწილები და პოლიცია. განთიადისას ატყდა თოფის სროლა, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. ძალების სიმცირის გამო, აჯანყებულებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ხუდადოვის ტყესთან ჩასაფრებულ კაზაკთა ნაწილებს წააწყდნენ და დამარცხდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა რაზმის ცხრა მებრძოლი. ესენი იყვნენ: მუშათა მრავალი მიტინგისა და დემონსტრაციის მედროშე, ახალგაზრდა რევოლუციონერი მინა კალაძე. გურიის გლეხთა დემონსტრაციებისა და ნასაკირალის ბრძოლების მონაწილე გიორგი ელიავა, რომელმაც 1905 წლის აგვისტოს თბილისის თვითმმართველობის დარბაზში, უიარაღო მუშების დახვრეტის დროს, შენობას სახურავი ახადა და იქიდან 60 მუშა ამოიყვანა, სიკვდილს გადაარჩინა; ავლაბრის არალეგალური სტამბის მუშა გრიგოლ ჯაში; ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა ზეინკალი ვანო ხუცურაული; დუშეთის წითელრაზმელთათვის იარაღის წასაღებად ჩამოსული ტუხა ლაზიშვილი; წითელრაზმელები ვასო თვარაძე, ილიკო ნინიძე და გერმანე დვალი.

სამოც წელზე მეტი გავიდა ამ გმირული ბრძოლის დღიდან, მაგრამ ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ტყვიებითა და ხიშტებით განგმირული, თავისუფლებისათვის თავდადებული ცხრა რევოლუციონერის, ცხრა ძმად წოდებული მუშების სახელებს.

ფოტოზე აღბეჭდილი ობელისკი სწორედ ამ ცხრა ძმის სახელთა უკვდავსაყოფადაა აღმართული ნაძალადევში, გმირთა საფლავზე.

ნ. სტეფანიშვილი.



## იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

1. რა არის ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი?
2. სად მდებარეობს იგი?
3. რა იცით მის შესახებ?